# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 53 სამშაბათი, 9 მარტი 1910 წ. № 53

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ღამის ხის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირეის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მ თხზულები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция газ. „ДРОЕБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



თ-დი ალექსანდრე მერაბის ძე ჩიქოვანი ოჯახობით ღრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმათ, ვინც პატივი სცა და წერილებით დეპეშებით თუ პირადის დასწრებით დაკრძალვაზე თანაგრძნობა გამოუცხადა უდროოდ დაკარგულის საეპარქიო სასწავლებლის მოწაფის

ლ ე ო ნ ი ს

ხსოვნას. (1—174—1)

## ქართული თეატრი

გამოსათხოვარი წარმოდგენა

სამშაბათს, 9 მარტს, 1910 წ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ

ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის

მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ჰ ა მ ლ ე ტ ი

ტრაგედია 5 მოქ. ვილ. შექსპირისა, თარგ. ივ. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ჰამლეტის როლს შეასრულებს **ვლ. ალექსი-მესხიშვილი**, პოლონიუსისას—**გ. გედევანოვი**, ოფელიასას—**მარო მდივანი.**

ლაერტისას—**ზარდალიშვილი**, აქტიორისას—**ალ. იმედაშვილი.**

**ფასები დაკლებულია.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

(3—2) რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

## გირჩევთ მოსწიოთ შემდეგი პაპიროსები

ზეფირი 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ.

ვოსხოდი 10 ცალი 5 კაპ.

პაპიროსები ახალ თამბაქოს ფაბრიკის სავ. სახ.

## „ძმები სეილანოვები"

(15—ტ.—13)

## გამგეობა „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა"

ამით აცხადებს, რომ წელს ამხანაგობას აქვს შეძენილი საგანგებოთ დაკვეთილი და წარსულ წლებში გამოცდილ **აბრეშუმის ჭიის თესლი ძმ. პასხალიდის ფირმისა.**

მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ თესლი შემდეგ ადგილებში:

1. **ს. კუხში**—ამხანაგობის სამმართველოს ფარდულში; 2. **ბათუმში**—თვით მეთესლეს წარმომადგენელ მანუილიადისთან და მათე რუხაძესთან; 3. **ქუთაისში**—კანტორა **„იმერეთში"** და კიწმარიშვილის თესლეულოპის მაღაზიაში; 4 **ახალ-სენაკში**—ვარლამ ჩაჩიბაიასთან; 5. **სამტრედიაში**—პორფილე ქეიშვილთან და აგრეთვე ქუთაისის მაზრის ყველა დაბებში და ლეჩხუმში. (6—კვ.—1)

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქ უ თ ა ი ს შ ი

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—23)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.-დ [illegible] ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 სა[illegible]

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ[illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 [illegible]

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ ს.** თვალის, ორშ., ო[illegible] პარასკ. 2 2-ნახ. ს.

**ფირაძლოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე

**პაპოვი ვ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყო დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხოზოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—126)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—289)

## ქართული თეატრი

შაბათს, 3 აპრილს, წარმოდგენილი იქნება:

## გმირის სალერელი

ვოდ. 1 მოქ. აწყურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, ტ. აბაშიძე და ბ-ნი ვ. აბაშიძე.

II

## საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არტისტი ქალი **კოლოტოვისა**, ბ-ნნი **ევლახიშვილი**, **ივანე სარაჯიშვილი** და **პალცევი.**

სხვათა შორის შეასრულებენ: 1) კოლოტოვისა და სარაჯიშვილი ორკესტრით დუეტს ოპერა „რიგოლეტტოდან"; 2) სარაჯიშვილი ორკესტრით არიას ოპერა „კარმენიდან"; 3) ევლახიშვილი ორკესტრით—არიას (სურათის წინ) ოპერა „ბალ-მასკარადიდან"; 4) სარაჯიშვილი ორკესტრით—არიას ოპერა „მარგალიტის მაძიებლებიდან"; 5) ევლახიშვილი—არიას ოპერა „დონ-ჟუანიდან".

ამავე საღამოს ბ-ნი **სარაჯიშვილი** პირველად შეასრულებს ორკესტრით **არაყიშვილის** ახალ ოპერიდან, **„შოთა-რუსთაველიდან"** მგოსნის არიას.

ყველა ზემორე ნახსენები ნომრები სარაჯიშვილის მიერ ქართულად იქნება შესრულებული. **ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში**

წარმოდგენისა და კონცერტის მოთავე **ი. კარგარეთელი.**

**დასაწყის სწორედ 8 საათზედ.** (5—ნ.—4)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—76

**ექიმი ზ. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—44)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბლონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—383)

## დ. ქარელში

**მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინორიძე**

იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჭრილობებს (ოპერაციას), კანში შესასხამ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ღებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—12)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქ უ თ ა ი ს შ ი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—134)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—117)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქ უ თ ა ი ს შ ი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—20)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში გ. დ. ბეთანოვი** მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—8)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

**ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.**

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

**კალამქაროვი**—ებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—19)

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა** იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—34

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ქ უ თ ა ი ს შ ი ფ. ი. გაევსკი** იღებს ავადმყოფებს **შინაგან სნეულებათა** და ბებიაობისას დილით 11—1 საათზე, საღ., 5—7 საათზე. კაზაკოვის ქ., N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—1)

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

იღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას, ძალიან იაფად, აგრეთვე საცვლებს და სხვა და სხვა ხელ-საქმეს „გლადით" და „მეტკებს".

ადრესი: ვერა, გაბაანთ ქ., № 3. (10—3)

**ქ. თ ე ლ ა ვ შ ი**

პირველ ენკენისთვიდან ამ 1910 წლისა

## გაიხსნება ვაჟთა სრულუფლებიანი პროგიმნაზია

ვისაცა ჰსურს ყმაწვილების მოყვანა ამ გიმნაზიაში, იმათ უნდა თხოვნები ეხლავე შემოიტანონ გიმნაზიის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე. სწავლის ფასი დანიშნულია 80 მანეთი, რომელიც უნდა შემოტანილ იქმნას ორჯერად ნახევარ-ნახევარ წლისა. თხოვნებისათვის ბლანკები დასტამბულია. ცალკე იქმნება გამოცხადებული, როდისთვის დაინიშნება ბავშვების მისაღები გამოცდა. პროგიმნაზიასთან იქმნება მოსამზადებელი კლასები და საანბანო განყოფილებაც. (3—ნ.—1)

**ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით**

## ილია ბახტაძე

წაიკითხავს საჯარო ლექციებს **ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ნაოლალევში, ჭიათურაში** შემდეგ თემებზე: „ბატონყმობა და დანიელ ჭონქაძე", ჩვენი ახალგაზდა პოეტები, ვარლამ რუხაძე და მისი პოეზია."

ლექციების წაკითხვის დრო ყოველ ქალაქში და დაბაში საზოგადოებას ეცნობება აფიშებით. (ა—კვ.—1)

## ძმ. ავსარკისოვების ბაღი

ჰყიდის სხვა და სხვა ხეხილის ნამყენებს. არის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილები.

ადრესი: Ст. Скра, (З. К. Ж. Д.) Авсаркисову. მსურველებს კატალოგები უფასოდ ეგზავნება. (15—1024—14)


## ბრძოლა ტერიტორიისათვის

I

ღრმა ცვლილება განიცადა მიწის საკითხმა ამ უკანასკნელ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში და ამ ცვლილებამ შესამჩნევი კვალი დააჩინა მთელი ჩვენი ერის, განსაკუთრებულ ინტელიგენტურ ნაწილის მსოფლიო მხედველობას. ეს გასაკვირველიც არაა: ძნელად მოიპოვება მეორე მხარე ჩვენი ეროვნულ არსებობისა, რომელსაც მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ჩვენთვის, ვიდრე მიწას, ტერიტორიას: ძნელად მოიპოვება მეორე სოციალური პრობლემა, რომლის გადაჭრაში ქართველს ინტელიგენციას იმ თავითვე უფრო მეტი და უფრო გულწრფელი გატაცება შეეტანოს, ვიდრე „მიწის პრობლემაში".

ამ ხუთიოდე წლის წინად საქმეს მხოლოდ „ეკონომიურ კეთილდღეობის", „სოციალურ ბედნიერების" თვალთსაზრისით ვუცქეროდით. თვალწინ „აგრარული საკითხი" გვედვა და ჩვენ მიწის სამართლიანად განაწილებაზე ვოცნებობდით. ამ შემთხვევაში ეროვნებას არ შეეძლო გამოსულიყო, როგორც მთლიანი და განუყოფელი ერთეული. სწორედ ეკონომიური (და მხოლოდ ეკონომიური) ინტერესები ჰყოფენ თანამედროვე ეროვნებას ერთი-მეორეს მოპირდაპირე ჯგუფებათ და კლასებათ, სწორედ „განაწილების" საკითხში მწვავდება მათი ურთიერთობა, სწორედ კეთილდღეობისა და ბედნიერების სახელით ებრძვიან ისინი ერთმანეთს ასეთის გაშმაგებით. ესაა სოციალური პარადოქსი კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ საზოგადოებისა, რომ ეროვნებას თავის ორგანიულ მთლიანობის, თავის ფსიხიური რეალობის გამოაშკარავება უაღრესად მხოლოდ სულიერ კულტურაში შეუძლიან. ძალთა სხვადა სხვაობა იქაც არსებობს, რასაკვირველია: მაგრამ აქ ის მდიდარ ჰარმონიის წყაროა და არა წინააღმდეგობის და გათიშვის, როგორც ეკონომიურს სფერაში.

ორ-სახიერი იანუსია თანამედროვე ერი: მისი მრისხანე პირი მიპყრობილია იმ მხრივ, სადაც სასტიკ და დაუნდობელ ბრძოლის არენაზე თვითეული კლასი, ჯგუფი და პიროვნება ეკონომიურ წარმატებისთვის იბრძვის და სხვის უბედურებაზე თავის მატერიალურ კეთილდღეობის აშენებას ლამობს. მისი ლმობიერი სახე, პირიქით, მოწმეა იმავე ეროვნულ ძალთა შინაგან თანხმობისა და ნათესაობისა ენის, ზნე-ჩვეულების, ისტორიულ ბედის, მსოფლიო მხედველობის, ესთეტიურ და ფილოსოფიურ შემოქმედების სფერაში.

ბედნიერება არ არსებობს როგორც წმინდა ნაციონალური პრობლემა: ერის ერთი ნაწილის ბედნიერება ხშირად უარჰყოფს და ეწინააღმდეგება მეორე ნაწილის ბედნიერებას, ერის ერთი ნაწილის მატერიალური ინტერესი ხშირად მოითხოვს ეროვნულ ზღუდეების გადალახვას, სხვა ერებთან შეკავშირებას, ფსიხიურ ნათესაობისაგან დამოუკიდებლად. ბედნიერების პრობლემა ინდივიდუალური და კოსმოპოლიტურია ერთსა და იმავე დროს. და სწორედ ასეთივე ელფერი ედო მიწის საკითხსაც, სანამ ჩვენ მას მხოლოდ „კეთილდღეობის მაქსიმაციის" თვალთსაზრისით ვუყურებდით. მაშინ ჩვენ პრინციპიალურად არაფერი შეგვეძლო გვეპასუხნა ჩვენი ტერიტორიის დაპყრობის, ჩვენი ეროვნების ძალდატანებით გადაშენების წინააღმდეგ; იმიტომ რომ ცხადია უცხოელებსაც ისევე კარგად შეუძლიანთ ჩვენს ტერიტორიაზე სილაღის და ბედნიერების განცდა, როგორც ქართველებს და ჩვენც შეიძლება გარეგნულ კეთილდღეობის მხრივ ბევრს მოვიგებთ, თუ ხელს ავიღებთ ჩვენს განსხვავებულს ეროვნულს არსებობაზე, დავივიწყებთ ენას, ზნეჩვეულებას და კულტურულს თავისებურებას და გაბატონებულ ეროვნების მორევში გავითქვიფებით. ეროვნულ კულტურისა და ტერიტორიისთვის ბრძოლას ეკარგება რეალური ნიადაგი იქ, სადაც აბსოლუტური ფასი მარტოდ-მარტო ეკონომიურს კეთილდღეობას აქვს. აქ სოციალურ კლასთა და ცალკე პიროვნებათა ბრძოლა ჩრდილავს ნაციონალურ არსებობისთვის ბრძოლას, ისევე როგორც მატერიალური ინტერესები ჩრდილავენ სულიერ კულტურის პრობლემებს.

გარეშე მტრისაგან მოვლენილმა საფრთხემ გააღრმავა ჩვენი სოციალური შეგნება და მიწის საკითხი დღეს ახალის სახით მოგვევლინა. ჩვენ ავმაღლდით იმ შეგნებამდე, რომ ტერიტორია უწინარეს ყოვლისა უდიდესი ეროვნული საუნჯეა, ურომლისოდ შეუძლებელია ჩვენი კულტურულ თავისებურობის შერჩენა და გაშლა. იმიტომ რომ, ცხადია, ტერიტორია მჭიდრო კავშირში იმყოფება ეროვნულს ფსიხიკასთან და სულიერს შემოქმედებასთან.

ჩვენ ამით იმისი თქმა არა გვსურს, თითქო მართალი იყოს ეგრეთ წოდებული „გეოგრაფიული მატერიალიზმი", (მონტესკიესი, ბოკლისა, მეჩნიკოვისა) რომელიც კულტურულს სხვადა სხვაობას გეოგრაფიულ მდგომარეობის სხვა და სხვაობით ხსნის. გეოგრაფიული გარემო უკვე იმიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივ განვითარების და სხვა და სხვაობის „უკანასკნელს მიზეზად" რომ იგი არსებითად უცვლელია და ხშირად მთელი საუკუნოების განმავლობაში იჩენს ერთსა და იმავე სახეს, ეროვნების მატერიალური კულტურა, საზოგადოებრივი ურთიერთობა და სულიერი შემოქმედება კი ცვალებადობის ევოლუციის კანონს ექვემდებარება.

არსებითად ამგვარივე პრინციპიალური მოსაზრება არღვევს „ისტორიულ მატერიალიზმის" ძირითად დებულებასაც, რომლის მიხედვით ყოველგვარი ისტორიულ განვითარების მიზეზი წარმოების ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ, ამ უკანასკნელს საძირკველი კი „საწარმოვო ძალთა" განვითარებაში. საწარმოვო ძალთა მცნებაში „ბუნებრივ წრის" გარდა ტეხნიკაც შედის, ე. ი. ადამიანისვე მიერ შექმნილი ხელოვნური წრე. მაგრამ ეს არსებითად არა სცვლის საქმის ვითარებას: ძალაუნებურად იბადება საკითხი—სადღა უნდა ვეძიოთ საწარმოვო ძალთა განვითარების მიზეზი? ცხადია, ეს განვითარება სულიერობას მოკლებულ მატერიალური ძალებისა არ შეიძლება ჰხდებოდეს რაღაც მისტიურ შინაგან დიალექტიკის წყალობით. სხვა მიზეზის აღიარება კი სავსებით ეწინააღმდეგება ამ ძარღვების დედა აზრს.

ამ წინააღმდეგობათა სფერიდან თავს მხოლოდ მაშინ დავაღწევთ, თუ ვაღიარებთ, რომ როგორც გეოგრაფიული გარემო და ტერიტორია, ისე საწარმოვო ძალნი მხოლოდ მატერიალურს ობიექტს წარმოადგენენ სულიერ შემოქმედებისთვის და მათი ცვლილება და განვითარებაც უწინარეს ყოვლისა ფსიხიურ განვითარების შედეგად უნდა ჩაითვალოს. ტერიტორიას ეს ცვლილება ნაკლებ ემჩნევა. ეროვნული ფსიხიკა მდიდარი და მრავალმხრივია, მაგრამ გეოგრაფიული წრე მხოლოდ ზოგიერთ მხარის გამოაშკარავებას და განვითარებას უწყობს ხელს. სამაგიეროდ ერთხელ ამ გვარად გაღვიძებული ნიჭი ხანგრძლივობის ბეჭედს ატარებს, იმიტომ რომ ის ნაკლებ ცვალებადს გარეგნულს ძალასთან არის შეკავშირებული. მაგალითად, თვალსაჩინოა ის ნაციონალური გენიოსობა, რომელიც ინგლისელებმა გამოიჩინეს წარმოებისა და აღებ-მიცემობაში და რომელიც მათი კუნძულის გეოგრაფიულს მდგომარეობასთან იმყოფება აშკარა ურთიერთობაში. თვალსაჩინოა ის კავშირი იტალიელთა და ბერძენთა ესთეტიურ ნიჭის და მათი სამშობლოს გეოგრაფიულს მდგომარეობის შორის, რომელიც კარგა ხანია ნათელჰყო მეცნიერებამ (მაგ. ტენმა). ექვს გარეშეა ის გავლენაც, რომელიც ჩვენმა ტერიტორიალურმა მდგომარეობამ იქონია ჩვენს ისტორიულს ბედზე ან, უკეთ ვსთქვათ, უბედობაზე, ჩვენს პოლიტიკურს დაქსაქსვაზე, ძლიერ პროვინციალური გრძნობის განვითარებაზე და ეროვნულ გრძნობის განუვითარებლობაზე.

მიუხედავად ამისა, ქართველების თავისებური ეროვნული არსებობა

წარმოუდგენელია საქართველოს ტერიტორიის გარეშე: ჩვენი დამახასიათებელ ნაკლულოვანების უარყოფა ჩვენ მხოლოდ ჩვენივე ბუნებრივ ენერგიის წყალობით შეგვიძლია. ჩვენი ეროვნული ბუნება კი ისტორიულად არის შემუშავებული და იმდენად მჭიდროდაა შეკავშირებული ტერიტორიასთან, რომ ამ უკანასკნელის დაკარგვა უსათუოდ იმის დასუსტებას და აუცილებელს სიკვდილს გამოიწვევდა. ეროვნება არ არსებობს კულტურულ თავისებურების გარეშე: კულტურული თავისებურება კი აუცილებლად გაჰქრება თუ ეროვნულმა სულმა დაჰკარგა ის გარეშე მატერიალური ობიექტი, რომლის შემწეობით მას თავისი განუმეორებელი ნიჭი და გენიოსობა გამოუაშკარავებია.

გ. ქ.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**თავმჯდომარის ხომიაკოვის გადადგომა.**

**თავ. ვოლკონსკიმ** 6 მარტს, სათათბიროს სხდომის დაწყებისას, სთქვა, სათათბიროს თავმჯდომარემ ხომიაკოვმა შემოიტანა წერილობითი განცხადება თავმჯდომარეობიდან გადადგომის შესახებაო. ვოლკონსკიმ წინადადება მისცა სათათბიროს, თავმჯდომარის არჩევანი მოხდეს ორშაბათს, საღამოს 9 საათზე.

სათათბირომ ერთხმად მიიღო ეს წინადადება.

**სახალხო განათლების ხარჯთ-აღრიცხვა.**

**სალთელიანმა** შეადარა საფრანგეთისა და რუსეთის სკოლა და სთქვა, რომ საფრანგეთის სკოლა იძლევა სერიოზულ განათლებას და სპეციალურ ცოდნას, იმას, რაც საჭიროა გლეხისათვის, რუსეთისა კი არაფერს არ იძლევა. ხალხი უკან არ დაიხევდა და საჭირო სახსარს გაიღებდა, რომ სასკოლო საქმე ჯეროვანად იყოს მოწყობილიო.

**მასლენნიკოვი**. სახალხო განათლების სამინისტრო სცდილობს მოსპოს სკოლის გარეშე განათლება. ორატორმა მოიყვანა ფაქტები. სამინისტრომ სარატოვში დახურა საკვირაო სკოლები და სახალხო უნივერსიტეტი. 17 ოქტომბრის მანიფესტამდე წინ ებრძოდნენ ხალხის განათლებას. მაშინ ამბობდნენ, განათლება მტერია აბსოლიუტიზმისაო. ნეტა ეხლა რითი უნდა გაიმართლონ თავი. ძველ გამოცდილს მასწავლებლებს სდევნიან და ადგილებიდან ერეკებიან ხეპრე ურიადნიკების დასმენით. განათლების საქმე პოლიტიკის გარეშე უნდა იდგესო, გაიძახიან. ორენბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა კი ნება მისცა რუსთა კავშირს ისარგებლოს სკოლების შენობებით კრებების გასამართავად. დღესაც მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკას მისდევენ. უმჯობესია არავითარი სახალხო წარმომადგენლობა არ არსებობდეს, ვიდრე ისეთი, როგორც ეხლა არსებობს.

**ნესელოვიჩმა** დაახასიათა ებრაელების აუტანელი მდგომარეობა სწავლა-განათლების საქმეში. მინისტრმა შეარცხვენლად მცირე რიცხვით განსაზღვრა ებრაელთა რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებშიო. ორატორსა სწამს, რომ რუსეთის ხალხი თავს დააღწევს დღევანდელ რეაქციის კლანჭებს და სამართლიანობას გამოიჩენს დანარჩენ ხალხებისადმი და კერძოდ ებრაელებისადმი.

კამათი დამთავრებულად აღიარეს.

**კაპუსტინმა**, მომხსენებელმა, ნალაპარაკევის საერთო რეზიუმე გააკეთა და განაცხადა: განათლების სამინისტრო შესაფერ გულწრფელობას და სურვილს არ იჩენს, რომ ხელი გაუწოდოს ხალხის წარმომადგენელთ ხალხის განათლების საქმეში საერთო მოქმედებისთვისაო. მომხსენებელმა პასუხი გასცა პურიშკევიჩს და აღნიშნა, რომ მართალია, უნივერსიტეტები ძველად ლიბერალურ აზროვნების ბუდეებად იყვნენ, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ მაშინ საშინელი რეჟიმი იყო, ყველაფერსა სდევნიდნენ და თვით მეცნიერებაც კი ეჭვის ქვეშ იმყოფებოდა. არ იყო სიტყვის თავისუფლება და რა გასაკვირველია, თუ ისინი, ვისაც მეცნიერებასთან კავშირი ჰქონდა ისე არა ფიქრობდნენ, როგორც მთავრობასა ჰსურდაო. დასასრულ, მომხსენებელმა სთქვა, სასურველია სწავლა-განათლების სამინისტრომ ხელი აიღოს სათათბიროს წინააღმდეგ გამკლავებაზეო.

**პურიშკევიჩმა** პირად საქმის გამო მოითხოვა სიტყვა. იმან გაიმეორა თავისი აზრი უნივერსიტეტის საქმეების შესახებ. (მარცხნიდან დაუძახეს: კმარა, სისულელეა!) **გეგეჭკორი**. სისულელეა, უმსგავსობაა!

**თავმჯდომარემ ვოლკონსკიმ** გააფრთხილა დეპუტატები და სთხოვა, ხელს ნუ უშლით ორატორსაო.

**პურიშკევიჩმა** განაგრძო და სთქვა, რომ უნივერსიტეტში გარყვნილობა მეფობსო.

**გეგეჭკორი**. თავხედო, არამზადავ!

ვოლოდიმეროვი და მარკოვი მეორე გაემართნენ თავმჯდომარისაკენ. ორივე მხრიდან საშინელი ხმაურობა ასტყდა.

**ტიმოშკინი**. თქვენ თითონა ხართ არამზადანი!

**თავმჯდომარე**. გეგეჭკორიმ და ტიმოშკინმა ისეთი სიტყვა იხმარეს რომელსაც აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. გთხოვთ ორი სხდომიდან გარიცხოთ ორივენი.

**გეგეჭკორი**. აღშფოთებული ვარ თავმჯდომარის საქციელით. იგი შინაურულად ეპყრობა პურიშკევიჩს, რომელმაც ლაფი გადაასხა ყველა იმას, რაც საუკეთესოა რუსეთში—ჩვენს ახალგაზრდობას.

**ბულატი**. შრომის ჯგუფი წინააღმდეგია გეგეჭკორისა და ტიმოშკინის გაძევებისაო. ორატორმა გაიმეორა გეგეჭკორის სიტყვები და განაცხადა, სავსებით ვემხრობი გეგეჭკორსაო.

**გოლოვინი**. მხარს დაუჭერ იმათ გაძევებას, რომელთაც უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება ისეთ რამედ გადააქციეს, რომლის წევრობაც გრცხვენიან.

**თავმჯდომარე**. ბულატმაც გაიმეორა გეგეჭკორისა და ტიმოშკინის სიტყვები. წინადადებას გაძლევთ ბულატიც გამორიცხოთ 5 სხდომიდანაო.

სათათბირომ დიდის უმრავლესობით, გარდა უკიდურეს მემარცხენეებისა, გეგეჭკორი და ტიმოშკინი გამორიცხა ორი სხდომიდან.

**თავმჯდომარე**. ბულატმა უკან არ წაიღო თავისი სიტყვები და ამიტომ წინადადებას გაძლევთ, იგი, ნაცვლად ხუთისა, 15 სხდომიდან გამორიცხოთ.

დიდის უმრავლესობით, გარდა სოციალ-დემოკრატებისა და ტრუდოვიკებისა, სათათბირომ მიიღო თავმჯდომარის წინადადება და 15 სხდომიდან გამორიცხა ბულატი.

**პურიშკევიჩმა** კვლავ განაგრძო ლაპარაკი. ხმები მარცხნიდან: „ძირს, გაეთრიე! ნებას არ მივცემთ ილაპარაკოს!“ თავმჯდომარემ გააფრთხილა დეპუტატები წესიერება დაიცვან.

**ზახაროვი მეორე**. პურიშკევიჩი ვერ ილაპარაკებს!

თავმჯდომარემ წინადადება მისცა სათათბიროს, ზახაროვი ერთი სხდომიდან გამორიცხოს. სათათბირომ მიიღო თავმჯდომარის განცხადება. **პურიშკევიჩმა** კვლავ დააპირა ლაპარაკის დაწყება.

**ჩხეიძე**. ნებას არ მივცემთ ილაპარაკოს!..

თავმჯდომარემ წინადადება მისცა სათათბიროს ჩხეიძე გამორიცხოს ერთი სხდომიდან.

**ჩხეიძე** სახრჩობელაც რომ მოელოდეს, მაინც ნებას არ მისცემს არავის შეურაცხყოს ახალგაზრდობა, რომელიც რუსეთის საზოგადოების იმედია.

**როზანოვი**. მეც გამომრიცხეთ სხდომიდან. პურიშკევიჩს არ აუკრძალეს ლაპარაკი მაშინ, როცა ეს საჭირო იყო.

**მილიუკოვი**. მე წინააღმდეგი ვარ ჩხეიძისა და სხვების გამორიცხვისა. როდესაც საკითხი დასრულდება, კადეტთა ფრაქციაც დათხოვნილთ გაჰყვება, რომ ნახოს, რა ზომამდე უჭერს მხარს სათათბირო პრეზიდიუმს, რომელმაც ესოდენ დასცა სათათბიროს პრესტიჟი.

ჩხეიძე დაითხოვეს ერთხმ თ. თავმჯდომარემ წინადადება მისცა სათათბიროს, მილიუკოვიც დაითხოვოს ერთი სხდომიდან.

**მილიუკოვი**. პრეზიდიუმი მორალურად მხარს უჭერს იმათ, ვინც ლაფი გადაასხა რუსეთის ახალგაზრდობას.

**ფონ-ანრეპმა**, ოქტომბრისტმა განაცხადა მე მხარს დაუჭერ დეპუტატების გამორიცხვას. თავმჯდომარის საქციელი სრულებითაც არ მიმაჩნია მკაცრად.

**შინგარევმა** მხარი დაუჭირა მილიუკოვის განცხადებას. ფრაქცია მხარს არ დაუჭერს მილიუკოვის გამორიცხვას, რადგანმან ისა სთქვა, რაც უნდა ეთქვა.

მილიუკოვი გამორიცხეს ერთი სხდომიდან. მერე 15 წუთით შესწყვიტეს სხდომა. სხდომის განახლებისას თავმჯდომარემ სთქვა, წესიერება დაიცავითო. პურიშკევიჩი კვლავ ავიდა ტრიბუნაზე. მარცხნივ ასტყდა ხმაურობა.

**კუზნეცოვი**. პურიშკევიჩი ვერ ილაპარაკებს!

თავმჯდომარემ წინადადება მისცა სათათბიროს, კუზნეცოვი ორი სხდომიდან გამორიცხოს.

**ნეკლიუდოვმა და ეფრემოვმა** განაცხადეს, რომ სრულებით არ ეთანხმებიან იმ საერთო ბრალდებას, რომელიც აქ სტუდენტობას დასდეს. **უვაროვმა** სთქვა, მხარს არ დაუჭერს დეპუტატების გამორიცხვას. **გულკინმა** განაცხადა, პურიშკევიჩის საქციელი წინად განზრახულია და მიქცეულია იქით, რომ სათათბიროს დათხოვნა გამოიწვიოსო.

კუზნეცოვი გამორიცხეს ორი სხდომიდან.

ყვირილისა და ხმაურობის დროს პურიშკევიჩმა ტრიბუნიდან წაიკითხა დაწერილი თავისი სიტყვა. მარცხნივ საშინელი ხმაურობა იყო. თავმჯდომარე ზარსა რეკდა. პურიშკევიჩისა არც ერთი სიტყვა არ ისმოდა ხმაურობისა გამო. როცა გათავდა, დაწერილი ქაღალდი სტენოგრაფს გადუგდო და თითონ კათედრიდან ჩამოვიდა. მემარჯვენენი ტაშით მიეგებნენ, მარცხნივ ხმაურობა და ყვირილი იყო.

**თავმჯდომარე**. პურიშკევიჩს ორჯელ მივეცი შენიშვნა, მაგრამ ხმაურობისა გამო ვერ გავაგონე და ეხლა კიდევ უმეორებ ამ შენიშვნასო.

ექვს საათზე თავმჯდომარემ ვოლკონსკიმ სხდომა დახურა და ჩამოვიდა ტრიბუნიდან. მემარჯვენეებმა მოელი ოვაცია გაუმართეს.

ამ რიგად მემარჯვენე თავმჯდომარის ვოლკონსკის წინადადებით სათათბირომ 6 მარტს შვიდი დეპუტატი გამორიცხა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

7—8 მარტი.

**საზღვარ-გარედ.**

**ბერლინი**. „ფოსიშე ცაიტუნგს“ ათინიდან დეპეშით ატყობინებენ: აქ ძალიან ეშინიათ, რომ ბალკანეთის სლავიანთა მეფეების სტამბოლში ჩასვლამ ოსმალეთი კრიტის საკითხში არ გააძლიეროს. ამას გარდა საბერძნეთის მთავრობა შიშობს, რომ სლავიანთა სახელმწიფოები საბერძნეთის ანგარიშში არ გაძლიერდნენ. პრესსა დაჟინებით თხოულობს, რომ პარტიებმა და მთავრობამ დაივიწყონ შინაური შუღლი და თავიანთი ყურადღება მიაქციონ ოსმალეთში მცხოვრებ ბერძენთა გაძლიერებას. პრესის აზრით, ოსმალეთში მცხოვრებ ბერძენთა გაძლიერება კრიტის საკითხზე უფრო საჭირო და საგულისხმიეროა.

**ზაგრები**. ხორვატის სეიმის გახსნის დროს დეპუტატებმა ერთი აურ-ზაური ასტეხეს. იმპერატორის რესკრიპტის კითხვის დროს სტარჩევიჩის პარტიის წევრები ფეხზე არ წამოდგნენ. სტარჩევიჩის პარტიის წევრმა პერიჩმა პროტესტი განუცხადა ჰუნგრეთის მთავრობას, მისი ბრძანებით ხორვატიის სეიმი ორი წელიწადი არ შეკრებილაო. ამას გარდა პერიჩის სიტყვით მთავრობამ ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსიის დროს დაარღვია ხორვატიის უფლება და ხორვატიის სეიმს ანექსიის შესახებ არაფერი შეატყობინა. ფრანკის პარტიის წევრმა გაჰკიცხა სტარჩევიჩის პარტია, ბელგრადთან კავშირი გაქვთო. ბუდისლავლევიჩმა განაცხადა, ფრანკის პარტიის წევრები, მთავრობას დაქირავებული ჰყავსო. რადიჩმა საჭიროდ დაინახა იმპერიის ყველა სლავიანთა შეკავშირება საერთო მოქმედებისთვის და გერმანელებთან დახლოვება, რომელთაც გაბსბურგებს არ უღალატნიათ. ორატორმა თავის სიტყვა შემდეგის სიტყვებით დაამთავრა: „გაუმარჯოს გაბსბურგებს, ძირს გოგენცოლერნებიო“.

**სალონიკი**. სოფელ მაჩუკოვის ახლო, გევგელიის ოლქში, ალბანელთა რაზმი თავს დაეცა მოსერბე ახალგაზრდობას. ალბანელებმა მოჰკლეს ორი, დასჭრეს სამი ახალგაზრდა. დემირგისარში ბოლგარელი რაზმელები გაჩნდნენ. ამის გამო სხვა და სხვა სოფელში დააპატიმრეს 25 კაცი, მათ შორის, ადგილობრივ მონასტრის წინამძღოლი და მორჩილები.

**ბერლინი.** გაზეთებს ათინიდან ატყობინებენ: თესალიის გლეხებმა რამდენიმე მებამულეს ძალით მიატოვებინეს მამული და თვითონ დაისაკუთრეს მათი მამული. ჟანდარმებმა გლეხები აიძულეს, წართმეული მამული მიეტოვებინათ. საბერძნეთის მთავრობამ ოსმალეთის ელჩს შეატყობინა, მიღებულ იქმნება ზომები, რომ თესალიის გლეხებმა მებამულეებს მამული ძალით არ ჩამოართვანო.

**ათინა.** გაზეთებში დაბეჭდილია ორასი ოფიცრის პეტიცია. ოფიცრები სამხედრო მინისტრს სთხოვენ, რომ ჯარი მავნე ელემენტებისაგან გაიწმინდოს.

**პუანტაპიტრი** (გვადელუპის კუნძული). დააპატიმრეს ზოგიერთი გაფიცული მუშა. ამის გამო პოლიციის და მუშებს შეტაკება მოუვიდათ. მოკვდა 3, დაიჭრა 12 კაცი.

**ლონდონი.** ოქსფორდში მინისტრ-პრეზიდენტმა ასკვიტმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. ასკვიტმა განაცხადა ლორდთა პალატა დემოკრატიულ საფუძველზე უნდა დამყარდეს და უნდა გაუქმდეს ლორდთა პალატის ვეტოს უფლება. ზოგიერთები ასკვიტს შეეკითხნენ, თუ რას აპირებს მთავრობა ახლო მომავალში, რომ ეს რეფორმა განახორციელოსო. ასკვიტმა უარი განაცხადა, ამ შეკითხვაზედ პასუხს ვერ გაგცემთო.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატის არჩევნები დანიშნულია 11 აპრილისთვის.

**ტოკიო.** ზღვაში ძლიერი ქარიშხალი მძვინვარებს. დაიღუპა 50 სათევზაო გემი და 800 კაცი.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. სასამართლომ ჩვენება ჩამოართვა ტარნოვსკაიას მოსამსახურე-ქალს პერიეს. პერიემ ცამდის აიყვანა ტარნოვსკაია, უამბო მოსამართლეებს კომაროვსკის, ნაუმოვის და პრილუკოვის ტარნოვსკაიასთან შეხვედრა და სთქვა: ამ პირთა ტარნოვსკაიასთან დაახლოვება დაწვრილებით არ ვიცი და ტყუილია, ვითომ ტარნოვსკაია უზნეო ადამიანი ყოფილიყოს. ტარნოვსკაიას პრილუკოვისაგან თავის დღეში არ აუღია ფული, გარდა ერთი შემთხვევისა. დაპატიმრების შემდეგ კორომონში შემთხვევა მომეცა პრილუკოვთან მელაპარაკნა. პრილუკოვმა მისაყვედურა, გამომძიებელს ისეთი ჩვენება მიეცი, რომ ტარნოვსკაიას საქმე გააფუჭე და მირჩია სხვანაირად მემოქმედნა. მე თანხმობა განვაცხადე. წინდაწინვე არაფერი ვიცოდი, თუ განზრახული ჰქონდათ კომაროვსკის მოკვლა. ნაუმოვს ძალიან უყვარდა ტარნოვსკაია, ეჭვიანობდა და ერთ დროს გადაწყვეტილი ჰქონდა ტარნოვსკაიასთან ერთად რუსეთში წასულიყო და კომაროვსკი მოეკლაო. წაიკითხეს პერიეს წინანდელი ჩვენება. აღმოჩნდა, რომ პერიეს გამომძიებელთან სულ სხვა ულაპარაკნია და ეხლა სცდილობს უარჰყოს თავის წინანდელი ჩვენება. თავმჯდომარის, პროკურორის და ვექილების შეკითხვაზედ პერიემ განაცხადა, წინდაწინვე არაფერი ვიცოდი თუ კომაროვსკის მოკვლა განზრახული ჰქონდათო. კომაროვსკის მოკვლა მხოლოდ შემდეგ გავიგეო. თავმჯდომარემ პერიეს შენიშნა, გამომძიებელს სხვა უთხარით, ტარნოვსკაია და პრილუკოვი კომაროვსკის მკვლელობას ამზადებდნენო. ნაუმოვის სიტყვით, როდესაც იგი კომაროვსკის მოსაკლავად ვენეციაში გაემგზავრა, პერიემ მას გამარჯვება უსურვა და კარგად იცოდა, რომ კომაროვსკის მოსაკლავად მივდიოდიო. პრილუკოვის სიტყვით პერიემ ყველაფერი იცოდა. პერიე უარჰყოფს ამას. ვენის დამზღვევ საზოგადოების მდივანმა ტაუბემ განაცხადა, ტარნოვსკაიამ კომაროვსკის დაზღვევის დროს წარმოადგინა პროექტი, რომლითაც ტარნოვსკაიას ფული იმ შემთხვევაშიაც უნდა მისცემოდა, თუ კომაროვსკის ძალით მოჰკლავდნენ. ტარნოვსკაიამ არ უარჰყო ეს და განაცხადა, პროექტი პრილუკოვმა შეადგინაო.

**ათინა**. ლარისთან გლეხების და ხუნოსან ჯარის შეტაკების დროს მოკვდა 5, დაიჭრა 15 კაცი. გლეხებს მატარებლის გაჩერება უნდოდათ. ცხენოსანმა ჯარმა გაჰფანტა 100 კაცისაგან შემდგარი ბრბო, რომელიც ლარისისაკენ მიდიოდა. დაჭრილია ორი ოფიცერი.

**ლონდონი**. გამოაქვეყნეს მთავრობის ცნობა. მთავრობის ცნობაში ნათქვამია, ლიბერალების მეთაურები გულმოდგინეთ ემზადებიან არჩევნებისთვის და ნამეტან დიდ ყურადღებას აქცევენ, რომ ლიბერალებმა თავიანთი კანდიდატები წარმოადგინონ იმ ადგილებშიაც, სადაც ოპოზიციონერები ბატონობენ. რეიტერის სააგენტოს სიტყვით, მთავრობის ცნობიდან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ მთავრობას აღარ შეუძლიან თავი დაახწიოს ეხლანდელ მდგომარეობას და ახალ არჩევნებს დანიშნავსო.

**ვაშინგტონი**. დეპუტატთა პალატა. კენჭის ყრის დროს რესპუბლიკანელების უმეტესობა დემოკრატებს მიემხრო, რის გამო პალატის თავმჯდომარე კენონნი დამარცხდა. კენონნმა უარი განაცხადა თავმჯდომარეობაზე.

**ზაგრები.** მიუხედავად იმისა, რომ ფრანკის პარტიამ პროტესტი განაცხადა სეიმის თავმჯდომარედ აირჩიეს კოალიციის მეთაური სერბი მედაკოვიჩი.

**ბერლინი.** ნორდ-დოიტშე-ალგემეინე-ცაიტუნგი“ სწერს: სერბიის და ბოლგარიის მეფეების სტამბოლში ჩასვლა ამტკიცებს, რომ ბოლგარია და სერბია სხვა სახელმწიფოებთან ერთად ოსმალეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობას აღიარებენ და ამიტომ უნდა მივესალმოთ ბალკანეთის სლავიანთა მეფეების ამ ნაბიჯს. ბალკანეთის სლავიანთა მეფეების სტამბოლში ჩასვლა მათივე ინიციატივით მოხდა და ოსმალეთმა კმაყოფილებით მიიღო ბალკანეთის სლავიანთა მეფეების გადაწყვეტილება. ეს გვიმტკიცებს, რომ განახლებული ოსმალეთი ზომიერად და მაგრად ეკიდება მის წინ წამოყენებულ საჭირ-ბოროტო საკითხებსო.

**ვენა**. პრესსა აღტაცებით ეგებება რუსეთ-ავსტრიის დაახლოვებას. პრესსის აზრით ამ ორ სახელმწიფოთა შორის საჭირო არ არის უფრო მჭიდრო კავშირი, რადგან ოსმალეთზედ მზრუნველობა მოისპო, ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა კი საჭიროა, რადგან ბალკანეთზედ სრული მშვიდობიანობა არ ჩამოვარდნილა. „ნეიე - ფრეიე - პრესსე“ სწერს: ავსტრო-ჰუნგრეთის საზოგადოება კმაყოფილი იქნება, თუ რუსეთ-ავსტრიის დაახლოვება ამ ორ სახელმწიფოთა შორის ნდობას ჩამოაგდებს.

**ბელგრადი**. დილის 9 ნახ. საათზე მეფე პეტრე პეტერბურგს გაემგზავრა. მეფეს თან ახლდებიან მინისტრ-პრეზიდენტი პაშიჩი, გარეშე საქმეთა მინისტრები მილანოვიჩი და ამალა.

**პარიზი.** „ჟურნალ-დე-დება“-ს და „ლიბერტე“-ს აზრით ავსტრია-რუსეთის დაახლოვება მშვიდობიანობის მომასწავებელი და გამამტკიცებელია.

**პეტერბურგი.** ოფიციალურად რუსეთსა და ავსტრიას შორის გამართული მოლაპარაკება ამ ჟამად სასურველად გათავდა. რაკი დიპლომატიურის მოლაპარაკებიდან გამოირკვა სრული თანხმობა რუსეთისა და ავსტრიის პოლიტიკურ პრინციპებისა ბალკანეთის საქმეებში, ორივ მთავრობამ ხელახლად აღადგინა ერთმანეთთან წესიერი დიპლომატიური განწყობილება. ზემოხსენებულის შესახებ რუსეთის მთავრობამ სხვა სახელმწიფოებს აცნობა ცალკე ქაღალდით, 7 მარტის თარიღით, შვიდი საბუთის დამატებით.

## სპარსეთი

**ბერლინი**. გერმანიის ბანკის განკარგულებით სპარსეთში წავიდა ბანკის მოხელე.

**თეირანი.** გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა მოავინუდ-დოულე. მოავინუდ-დოულე ერთ დროს რომში იყო ელჩად.

**თეირანი**. სეპეხდარმა მეჯლისს წარუდგინა გარეშე საქმეთა მინისტრი მოავანუდ-დოულე და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი—მოტაზიდი-ხანი, თეირანის გუბერნატორად ნამყოფი.

**თავრიზი**. საღამოს 5 საათზედ სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი თეირანში გაემგზავრნენ. მათ თან გაჰყვნენ სპარსელი ყაზახები და ეფრემას და სერდარ-ბოხადურის ცხენოსნები. ხალხს ძალიან უხარიან სათარ-ხანის და ბაგირ-ხანის თავრიზიდან წასვლა.

**თავრიზი**. სათარ-ხანის და ბაგირ-ხანის წასვლის შემდეგ ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. მათი წასვლის წინა დღეს ქალაქი პროკლამაციებით მოჰფინეს. პროკლამაციებში ხალხს ურჩევდნენ, განედევნათ ეფრემა, ბახტიარების მეთაური სარდარ-ბოგადური და გენერალ-გუბერნატორი.

**თეირანი**. 18 ჯარისკაცი ბესტში ჩაჯდა. ყველა ესენი გადაყენებულ შაჰთან მსახურობდნენ. კარისკაცები ორი წლის ჯამაგირს თხოულობენ. თეირანში ჩამოიყვანეს კერმანშაჰის ქურთების მეთაური აზამუდ-დოულე. აზამუდ-დოულეს ბორკილები ადევს. იგი სატუსაღოში ჩასვეს. მთავრობა მის გასანთავისუფლებლად 200,000 მანეთს თხოულობს, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება, აზამუდ-დოულემ გადაყენებულ შაჰს დახმარება აღმოუჩინა და ამიტომ ჩამოვახრჩობთო.

## რუსეთი

**პეტერბურგი**. სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტების ფრაქციამ დაადგინა სთხოვოს გუჩკოვს, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის არჩევნების დროს თავის კანდიდატურა წამოაყენოს. გუჩკოვმა თანხმობა განაცხა. ფრაქციამ დაადგინა ხომიაკოვს ადრესი მიართვას.

**ეკატერინოდარი**. ფოსტა-ტელეგრაფის საწყობიდან 15 შეიარაღე-

ულმა ბოროტ-განმზრახველმა გაიტაცა 22,500 მანეთი. ბოროტ-განმზრახველებს დაედევნენ პოლიციელები. მოკლულია ერთი პოლიციელი. მოტაცებული ფული დახვრეტილი და სახმარებლად გამოუყენებელია. რამდენიმე ხნის შემდეგ ბოროტგანმზრახველები დააპატიმრეს ... გულ კევიჩზე, კავკავის რკინის გზაზე.

**მოსკოვი.** მიტროპოლიტის ბრძანებით, რომელიც სინოდმა დაამტკიცა, მიძინების ტაძარში ეკლესიიდან განდევნეს და დასწყევლეს ... კოლოსკოვი და დიმიტრი გრიგორიევი, ბრალდებოდათ ხალხის ... ლებლობის გავრცელება. სხვა ეკლესიებშიაც დასწყევლეს და ეკლესიიდან განდევნეს კოლოსოვი და გრიგორიევი. ეკლესიები და ... ლო-მახლო ქუჩები ხალხით იყო სავსე. წესიერება არსად არ დაურღვევიათ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროში შეიტანეს ფინანსთა მინისტრის მიერ შემუშავებული და მინისტრისაგან მოწონებული კანონპროექტი, რომლითაც წვრილი კრედიტის დაწესებულებებს შემნახველ ... სების თანხებიდან ძირითად თანხისთვის ფული უნდა მიეცეთ. ამას გარდა წვრილი კრედიტის დაწესებულებებს უნდა გადაეცათ საზოგადოებათა ზოგიერთი თანხები.

**პეტერბურგი.** დაიწვა პარიკოვის ... ლაზია. ნოქრები ძლივს-ძლივობით ... დარჩნენ. დაშავდა ერთი ბავშვი. ... რალი 75,000 მანეთს უდრის.

**ჰელსინგფორსი.** სეიმმა ფინლიანდიის პოლიტიკურ მდგომარეობისა და კანონიერების აღდგენის შესახებ პეტიცია გადასცა ძირითად კანონების კომისიას.

## იმერეთის თავ.-აზნაურთა კრებები

ჩვენი თავ.-აზნაურობა მეტად შეურაცხყოფილად მიიჩნევს თავს, თუ ... ტყვი, რომ იგი განხრწნილების ... რებზეა მიმდგარი, რომ ეს წოდება ისპობა და დაცემისა და დაქვეითებისაკენ სისწრაფით მიექანება. ... ულისწყრომა ჩვეულებაა დიდებულთა, მაგრამ იგი არაფერს არ ... ტკიცებს, ხოლო საკმარისია ამ ... ოდების მოქმედებას ჩაუკვირდეთ, ... ომ ნათლად დაინახოთ, საითკენ ... რის მისი გზა.

ვინც იმერეთის თავ.-აზნაურთა ... რებას დაესწრო წრეულს, ის ცხადად დაინახავდა გულის შემზარავ ... ურათს ჩვენის თავად-აზნაურობის ... ქვეითებისას. ჩემის აზრით ამ სუ... თის უფრო საყურადღებო მომენტი ეგრეთ წოდებული ალშიბაიანიჟარაძის ინციდენტი იყო. მოგახსენებთ მოკლედ ამ ინციდენტის ამბავს.

ქუთაისის გუბერნატორმა აცნობა ქუთაისის გუბერნიის მარშალს, რომ თავ.-აზნაურთა კრებაში მონაწილე-ამრჩეველთა სია უკანონოდ ... რის შედგენილი, რომ ამ სიაში ... ტანილნი არიან, ისეთი პირები, რომელთაც არავითარი უფლება არა ... ქვს კრებაში მონაწილეობის მიღების, ამიტომ ითხოვდა, რომ სია კანონის მიხედვით ყოფილიყო შესწორებული. ეს საგანი გუბერნიის მარშალმა თავის მხრით მოახსენა დეპუტატთა საკრებულოს. საკრებულოში ორი ერთმანეთის წინააღმდეგი აზრი ტრიალებდა. ზუგდიდის მაზრის წარმომადგენელი ბ-ნი ალშიბაია იცავდა იმ აზრს (შეცდომით), რომ გუბერნატორის შენიშვნა ჩვენთვის სავალდებულოაო, ხოლო ქუთაისის მაზრისა თავ. დ. ნიჟარაძე კანონიერად ამბობდა, რომ გუბერნატორს არავითარი უფლება არა აქვს ჩვენს მიერ შედგენილ სიებს კრიტიკა გაუკეთოს, ვინაიდან ჩვენის მოქმედების უმაღლესი სამსჯავრო სენატიაო.

კამათმა შუაღამემდის გასტანა თუ ... ე. შეადგინეს ოქმი, რომელსაც უმცირესობამ მიაწერა, „განსაკუთრებულ აზრს ვადგივართო“. მაგრამ ყველაზე უფრო სასაცილო, თითქმის დაუჯერებელი ამბავი ის იყო, რომ თავ. დ. ნიჟარაძემ, რომელიც მთელ საღამოს ამტკიცებდა, გუბერნატორს არავითარი უფლება არა აქვს, ჩვენის სიების გასწორება მოითხოვოსო, ოქმს მიაწერა: „მოხდეს არჩევნები, იმ პირობით, რომ წინ და წინ შესწორებულ იქმნეს სიები და სათანადო შესწორება იქმნეს მოხდენილი ამ სიებშიო“, ე. ი. თავ. ნიჟარაძემ ორის სამის სტრიქონით უარ-ჰყო მთელი საღამოს ნალაპარაკევი და თავის „კერძო აზრში“ თავი მოჰკონდა გუბერნატორის მოთხოვნილების აღმასრულებლად, ვინაიდან სწორედ გუბერნატორი თხოულობდა „სიების შესწორებასა და სათანადო შესწორებასა“. ასეთმა ორპირობამ და სამარცხვინო მოქმედებამ თავ. ნიჟარაძისამ ბ-ნ ალშიბაიას სამართლიანი გულის წყრომა და გაკიცხვა გამოიწვია.

ეს ამბავი საკმაოა იმისთვის, რომ თავ. ნიჟარაძის ზნეობრივი ავლადიდება ავსწონ-დავსწონოთ. კაცი მთელ საღამოს უმტკიცებს საკრებულოს ერთ აზრს, კიდევაც დაითანხმებს ბევრს ამ აზრზე, მაგრამ ბოლოს მხოლოდ იმიტომ, რომ „ვილაცას“ ასიამოვნოს და ეს სიამოვნება დასაბუთებულ იქმნეს, სრულიად წინააღმდეგს ამბობს იმისას, რასაც ისე გაცხარებით იცავდა. ეს თავისებური პროვოკატორული მოქმედებაა, ვოდევილის ხასიათისა, ვინაიდან ასეთი პროვოკაცია არცხვენს თვით იმის ჩამდენს, ხოლო სხვას კი არავითარ ვნებას არ აყენებს. ამ მოქმედებას ისეთი იერი აქვს, თითქო თავ. ნიჟარაძეს უნდოდა გამოეწვია ისეთი დადგენილება დეპუტატთა საკრებულოსი, რომელიც არ ეთანხმებოდა გუბერნატორის სურვილს და თვით კი განზრახ განსაკუთრებული აზრი მოეჩმახა იმავე გუბერნატორის გულის მოსაგებად.

ამაზე უფრო უმსგავსო საქციელი არჩეულის კაცისა, მთელის წოდების წარმომადგენლისა წოდებისა, რომელიც „სხვა და სხვა უპირატესობებს“ ეტანება, უნდა გითხრათ ძნელი მოსაფიქრებელია. უბედურება ის არის, რომ ეს ამბავი აქ არა თავდება.

ოქმს, რომელზედაც უმრავლესობამ „განსაკუთრებული“ აზრი წააწერა, რასაკვირველია, ცხადად კომიკური ხასიათი ჰქონდა. მგონი თვით წევრებმა დანიშნეს და გადაწყვიტეს მეორე დღეს დილას მოსულიყვნენ, რიგიანი ოქმი დაეწერათ და ხელი მოეწერათ. ასეც მოიქცნენ. ასე რომ ახალი ოქმის შედგენის შემდეგ ძველი მოსპობილად უნდა ჩათვლილიყო და კანცელიარიის არხივს გარეშე არავითარი მსვლელობა არ უნდა ჰქონოდა... მაგრამ ნამდვილად ასე არ მომხდარა. თავ. ნიჟარაძემ მოსპობილი ოქმი, რომელზედაც მისი უცნაური „განსაკუთრებული აზრი“ ეწერა, გუბერნატორს წარუდგინა, რათა დაემტკიცებინა იმისთვის თავისი „უერთგულესი მორჩილება და თანხმობა“. ეჭვი არ არის თავ. ნიჟარაძეს ამ აზრის წაწერაც იმიტომ ჰქონდა მომზადებული, რომ მერე გუბერნატორისათვის დაემტკიცებინა თავისი კეთილსაიმედო მოქმედება“.

ბ-ნმა ალშიბაიამ წერილობითი პროტესტი შეიტანა დეპუტატთა საკრებულოში თავ. ნიჟარაძის სამარცხვინო საქციელის შესახებ. ეს პროტესტი დეპუტატთა საკრებულომ არ მოიწონა, დაჰგმო და გადასწყვიტა თავ. აზნაურთა კრებისათვის მოეხსენებინა. თავ. ნიჟარაძემ ცუდად გამოიანგარიშა თავისი შანსები. ეგონა, კრებაზე თავისს „შავ რაზმს“ (ასეთი რაზმი ჰყავდა თავადს წლევანდელ კრებაზედ) აამხედრებდა და საქმეს თავისდა სასიამოვნოდ მოაწყობდა. საქმე კი სხვა გვარად დატრიალდა და თ. ნიჟარაძისათვის ძალიან ცუდი შედეგი მიიღო. მარშლის ამგვარმა საქციელმა საზოგადება ააშფოთა და მოითხოვა, მსჯავრი დასდებოდა ასეთს მოქმედებას თ.-აზნაურთა წარმომადგენლისას. კრებაზე ბ-ნმა ალშიბაიამ დიდი და ცხარე სიტყვა წარმოსთქვა თავ. ნიჟარაძის შესახებ და საზოგადოება დიდად დაინტერესა ამ საქმით. თავ. ნიჟარაძე თავს იმითი იმართლებდა, რომ გუბერნატორს იმიტომ მოვახსენე, რომ ბ-ნმა ალშიბაიამ გამომიწვია, ვინაიდან გუბერნატორთან დამასმინა და მე თავი მინდოდა გამემართლებინა გუბერნატორის წინაშეო. ბ-ნი ალშიბაია კი ამბობდა და საბუთებით ამტკიცებდა, მე არც მინახავს გუბერნატორი ამ ხანში და არც არავისთვის არა გადამიცია რაო. შემდეგში თვით თავ. ნიჟარაძემ უარჰყო ეს ბრალდება ბ-ნ ალშიბაიასი. მაგრამ თავისთავად ცხადი იყო, რომ ამ ბრალდებას არავითარი საფუძველი არა ჰქონდა. ბ-ნი ალშიბაია ბავშვი ხომ არ იყო, თავის დასაკლავი დანა თვით გამოეჩხრიკა. თვით აღშფოთებული იყო იმ „კერძო აზრით“, რომელიც თავ. ნიჟარაძემ თავის მსჯელობის წინააღმდეგ ოქმს წააწერა, მაშასადამე, ბ-ნ ალშიბაიას ამისთანა დასმენის სურვილი კიდევაც რომ დაჰბადებოდა, არ აღასრულებდა, რადგან ამით თავ. ნიჟარაძეს სამსახურსაც კი გაუწევდა, თავ. ნიჟარაძეს საბუთი ჰქონდა ხელში თავისი „კერძო აზრი“, რომელიც გუბერნატორის სურვილებს კვერს უკრავდა, მაშასადამე თავ. ნიჟარაძეს არავინ არაფერს არა სთხოვდა, არც არავის გამოუწვევია, თვითონ გაიქცა და მოახსენა გუბერნატორს, თავისი მონური ქცევა. ამას უეჭველად ამტკიცებს თვით ეს წარწერა, რომელიც შედეგია თ. ნიჟარაძის კარგად ცნობილის ორპირულისა და ყალბის მოქმედებისა. თავ. ნიჟარაძემ წინდაწინვე მოაწყო საქმე „სათანადო მოსახსენებლად“. მაგრამ წარმოვიდგინოთ ისიც, რომ გუბერნატორი დაეკითხა, რათ იყავით ჩემის მოთხოვნილების წინააღმდეგიო. მას შეეძლო თავი სიტყვით გაემართლებინა, თუ ეს საჭირო იყო, მაგრამ არც ეს იყო საჭირო. თავ. ნიჟარაძეს რომ ესმოდეს თავისი მოვალეობა და ადგილი, გუბერნატორს პასუხს გასცემდა და, რომ იგი მოვალე არაა გუბერნატორს თავის აზრის წინააღმდეგობა დაუსაბუთოს. მაგრამ ამგვარი „კეთილშობილური“ მოქცევა თავ. ნიჟარაძეს ლექსიკონში არ უნდა იყოს მოთავსებული. არჩეულ კაცს, თვითმმართველობის წარმომადგენელს კი უსათუოდ მოეთხოვება, რომ პირად ანგარიშების გამო თავისი თანამდებობა „წვრიმალთ მოხელის“ თანამდებობად არ გადააქციოს: ამის უფლება მას არა აქვს, თუ ამას მოიმოქმედებს, იგი ღირსი არ არის, იყოს თვითმმართველობის წარმომადგენლად. ამასთან, მართალი უნდა მოგახსენოთ, არავითარი საბუთი არ არის ვიფიქროთ, რომ გუბერნატორი ამგვარ კითხვებს მისცემდა თავ. ნიჟარაძეს, რადგან საქმემ ისეთი მსვლელობა მიიღო თავისთავად, როგორც ეს თვით გუბერნატორს სურდა. სენატმა განმარტა, რომ სიები ჯეროვნად უნდა იქმნეს შესწორებულიო.

ეს საქმე მით უფრო საყურადღებო იყო, რომ ეს ერთი მაგალითია იმ მრავალთაგანი, რომელიც ახასიათებს თ-ვ.-აზნაურთა წარმომადგენლების სულის კვეთებას. ისინი კანცელარიის უბრალო, წვრილმან მოხელის როლს ასრულებენ ყოველთვის და არა თვითმმართველობის წარმომადგენლისას (კაცმა კი უნდა სთქვას, რომ თვით-მმართველობის მიტმასნება თავ.-აზნაურთა საკრებულოსთან თითქმის უსაფუძვლოცაა).

თავისთავად ეს ფაქტი, ეს ინციდენტი თავ. ნიჟარაძის ფიზიონომიის დამახასიათებელიც არის. თ. ნიჟარაძემ იმით დაიწყო მოღვაწეობა, რომ ქუთაისის მაზრის პროგრესსიულ ნაწილს მიეკედლა და ამით მაზრის მარშლობა მოიგდო ხელში. მერე კი გვერდი აუქცია მას და „კალისტრატე ჩიქვაიძის“ ფარული მომხრე გახდა. ბოლოს პირდაპირი ომი გამოუცხადა თავ.-აზნაურობის პროგრესსიულ ნაწილს და მათი კანდიდატი თავ. სვიმონ ლორთქიფანიძე გააშავა სხვა და სხვა „ხრიკების“ შემწეობით. ეხლა კი მისი ფიზიონომია ნათლად გამოირკვა, რისთვისაც ძალიან მადლობელნი უნდა ვიყვნეთ ბ-ნ ალშიბაიასი. ალშიბაია—ნიჟარაძის ინციდენტმა გვამცნო, რომ ეს კაცი იმგვარ ყოვლად დასაწუნარ საქციელს მისდევს, რომ ორპირობს, როცა ბჭობს დეპუტატთა საკრებულოში, სიყალბეზე ადგია, როცა ესაუბრება თავისს ამომრჩევლებს, ხოლო „კანცელიარიებში“ საკრებულოს ოქმებს ადგენს, ეს წარუდგენილება კი სახელს უტეხავს იმ დაწესებულებას, რომელშიაც იგი მსახურობს.

მთელი ორპირობა თ. ნიჟარაძისა წლევანდელს კრებაზედ გამოიხატა. მან მოითხოვა კრებისაგან ამ ინციდენტის გასამართლება. ხოლო, როცა დაინახა, რომ კრებაზედ ისეთი პირები არიან, რომელთაც ამ საქმეს ჯეროვანი მსჯავრი დასდევს და მისი საზოგადო ხასიათი გამოაქვეყნეს, თავის „რაზმის“ წყალობით ეს საქმე ჩაფუშა. (ამ კრებაზე ვნახეთ, რომ თ. ნიჟარაძეს „რაზმიც“ შეუკრებია, რომელიც მისი ბრძანების ყურმოჭრილი აღმასრულებელია). ხოლო, როცა საზოგადოება ამგვარმა „ხრიკმა“ აღაშფოთა, თავ. ნიჟარაძემ ისევ სამართალს მიჰმართა, მაგრამ მოსამართლეთ ისინი დაიწუნა, ვინც ამ საქმეს გულმხურვალედ ეკიდებოდა და ისინი ამოარჩევინა, რომელთა გულგრილობის იმედი ჰქონდა. მაგრამ აქაც მოსტყუვდა, სამ წევრში ერთი „მოღალატე“ გამოჩნდა და კრებას შეატყობინა, ამ საქმის გამოსარკვევი საბუთები ხელთა გვაქვს და დღესვე მოგახსენებთ, რაც გნებავთო. მაშინ არ ვიცი რა მანქანებით სამიდან ორს, ე. ი. უმრავლესობას, უარი ათქმევინა იმაზე, რომ იმ დღესვე მოეხსენებინათ კრებისათვის „ინციდენტის“ ამბავი. ორი წევრი იმ აზრისა იყო, რომ საქმე გამორკვეული არ არის და ამას „დიდი კვლევა-ძიება“ უნდა მომავალ კრებამდის გადავსდოთო, ე. ი. საქმე გადააფუჩეჩეს.

არა მგონია თ. ნიჟარაძეს ეს „გადაფუჩეჩება“ მოუხდეს. მაგრამ ჩვენი თ.-აზნაურობა იმ გათახსირებამდის მივიდა, რომ ყველაფერი შესაძლო ხდება, ყველაფრის გაბედვა მოსახერხებელია. შეიძლება წარმომადგენელმა გადალახოს, შეურაცხყოს ყოველივე ღირსება და სახელი ამ კრებულისა და მერე კიდევ უფრო უპირატესობა მოითხოვოს და წინწაწევის უფლება წარმოგვიდგინოს... ამგვარი თავხედობა წევრებისა კი იმას ამტკიცებს, რომ ეს ორგანიზმი განხრწნილებისა და დაღუპვის გზას ადგია. თვით უწყობენ ამას ხელს, თვით ნათელს ჰყოფენ ასეთ მათ მდგომარეობას, ხოლო, როცა ამხილებთ მათ, უჩვენებ მათ წყლულსა და იარას, გინდა დაუამო ჭრილობა, რადგან მათი სამუდამოდ მორჩენის იმედი აღარავისა აქვს, ისინი, ყიჟინას ასტეხენ, „მოგვეშველეთ მტრები შემოგვესივნენ. ჩვენ დამსახურებას ქვეყნისა და სამშობლოს წინ არ აფასებენო“. დალოცვილებს, საარაკო ბატები დავიწყნიათ და თავი მოაქვთ ისეთის მოქმედებით, რომლის ერთი თვალსაჩინო მაგალითი ბ-ნ ალშიბაიას მიერ გამოქვეყნებული თავ. ნიჟარაძის „საზოგადო მოღვაწეობაა“.

**იმერელი ამომრჩეველი.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **კონსტანცია ტურიაშვილის დაკრძალვა.** კვირას, 7 მარტს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დაკრძალეს კონსტანცია ტურიაშვილისა, რომელმაც თავისი ქონება უანდერძა ქართველთა-შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას და ტფ. ქართულ გიმნაზიას. ნაშუადღევის პირველ საათზე კარგა ბლომად ხალხი მოგროვილიყო განსვენებულის ბინის წინ, ავჭალის ქუჩაზე. მიცვალებულის კუბო ყვავილებითა და გვირგვინებით იყო შემკული. სხვათა შორის იყო გვირგვინები წ. კ. საზოგადოების გამგეობისა და ტფ. ქართულ გიმნაზიისაგან. პანაშვიდი გადაიხადეს რომის კათოლიკეთა ეკლესიაში და იქიდან ცხედარი კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე წაასვენეს დასაკრძალავად. უკან მისდევდნენ ნათესავნი, ნაცნობნი, წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარე, გამგეობის წევრები, საზოგადოების წევრები, ქართულ გიმნაზიის გამგე და მასწავლებელნი და სხვანი. სასაფლაოზე ბ-ნმა რატიშვილმა სიტყვა წარმოსთქვა. მან აღნიშნა, რომ ეს მეორე მაგალითია, რომ პოლონელი ქალი ქართულ კულტურის აყვავებას სწირავს თავის წვლილს, მეორე მაგალითია, რომ პოლონელი ქალი ასე დიდ სიყვარულს იჩენს ჩვენის ქვეყნის მომავლისადმიო. განსვენებულს სიცოცხლეშივე უნდოდა დაეარსებინა სკოლა, სადაც უსასყიდლოდ ისწავლიდნენ ღარიბი ქართველი ბავშვები, მაგრამ არ დასცალდა სურვილი სისრულეში მოეყვანა. დაუვიწყარია კონსტანციას მაგალითი: ტომით პოლონელმა ჩვენს კულტურულ საქმეს უანდერძა თავისი ქონება, მაშინ როდესაც მას ნათესავებიც ჰყავდა და იმათ გულის მოსაგებად შეეძლება მათთვის დაეტოვებინა ქონება. მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის განსვენებულის ხსოვნა, რომ ბევრი ქართველი, განსვენებულზე მდიდარია, სიკვდილის წინ არ იგონებს თავის ქვეყანას და მის კულტურულ დაწესებულებებსაო. დამსწრენი წრფელის გულით გამოეშვიდობნენ განსვენებულის ნეშტს.

✦ **რკინის გზა ტფილისიდან კავკავამდე.** „ბაკუ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: გზათა სამინისტროსთან შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ საბოლოოდ შეიმუშავა ტფილის-კავკავის რკინის გზის პროექტი (კავკასიონის მთაზე). რკინის გზა ტფილისიდან დაიწყება და გაივლის ავჭალას, ფასანაურს, კვენამის უღელტეხილს, ყაზბეგს და კავკავში მივა. სიგრძე გზას ექნება 202 ვერსი და დაჯდება 19,400,000 მანეთი. რკინის გზაზედ მოძრაობა ელექტრონის შემწეობით იქნება. თერგსა და არაგვზე გაკეთდება ორი გიდრავლიური სადგური 6,000 და 6,900 ცხენის ძალისა.

✦ **პანაშვიდი.** კვირას, 7 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი „ნაკადულის“ ყოფილ რედაქტორის მ. ი. დემურიას სულის მოსახსენებლად.

✦ **მუშების დათხოვნა.** ტრამვაის დირექციამ დაითხოვა ტრამვაის სახელოსნოების სადურგლო განყოფილების მუშები.

✦ **შეკითხვა კავკასიის შესახებ.** „კასპის“ სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროს კომისიას მიუღია მემარჯვენეთა შეკითხვა კავკასიის შესახებ და ამ მოკლე ხანში სათათბიროს საერთო სხდომას მოახსენებენ. მემარჯვენეები თავიანთ შეკითხვაში სწერენ, კავკასია არ დაწყნარებულა, სასწავლებლებში რევოლიუციონური სული ტრიალებს, ყველაფერს მოწაფეები განაგებენო და სხვ.

✦ **ექიმ სობოლევსკის ლექცია.** შაბათს ექიმმა სობოლევსკიმ, სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ წაიკითხა თავისი ლექცია აფრიკაში მოგზაურობის შესახებ. სობოლევსკი ერთი წლიწადია, რაც აფრიკიდან დაბრუნდა. იგი მდიდარ დემიდოვის ექსპედიციაში იღებდა მონაწილეობას. ამ ექსპედიციამ გაიარა ეგვიპტე, ჩავიდა შუაგულ აფრიკაში და გადავიდა კონგოში. ექსპედიციამ ორი წელიწადი დაჰყო აფრიკაში და მრავალი რამ ნახა და გამოსცადა. ქ-ნმა სობოლევსკიმ ბევრი რამ საინტერესო ... დაწვრილებით და აჩვენა უთვალავი სურათი: მცხოვრებთა ტიპებისა, ცხოველების, [illegible] ... ღირსშესანიშნავი ადგილებისა და სხვ. თუმცა ლექცია პირველ საათზე გათავდა, მაგრამ ლექტორმა მაინც ვერ მოასწრო მთელი მოგზაურობის ამბის გადმოცემა, ამის გამო მოგზაურობა კონგოში, რაც უფრო საინტერესო იყო და სადაც ექსპედიციამ ყველაზე მეტი ტანჯვა გამოიარა, სულ ორიოდე სიტყვით-ღა აღნიშნა. თეატრი სავსე იყო.

✦ **„ნაკადული“.** გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მეორე ნომერი (მცირე წლოვანთათვის). როგორც ვწერდით ამ ჟურნალის ნომრების გამოსვლა დააგვიანა ახალ. რედაქტორის დამტკიცებამ. რედაქტორად ეხლა ნინო ნაკაშიძეა. ნომერი ჩვეულებრივად საინტერესოდ არის შედგენილი.

✦ **დაპატიმრება.** როგორც ვიცით, 6 მარტს ბაქოში გადაცმულმა მატროსმა რამდენჯერმე რევოლვერი ესროლა ნავთსადგურის უფროსს. დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ბაქოში მატროსს გარდა დაუპატიმრებიათ კიდევ ორი კაცი. ჰბრალდებათ მატროსისათვის ხელის შეწყობა.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოების კრება.** შაბათს, 6 მარტს, საღამოსთვის ტფ. საბჭოს დარბაზში მოხდა კრება ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოებისა. კრებამ აირჩია წევრნი სასამართლოსი, რომელმაც ნაგურსკ-ყიფიანის საქმე უნდა გაარჩიოს. ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნენ: თავ. პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, არ. მამულაიშვილი, შიო დავითაშვილი, დ. ი. სპასსკი, ს. ვარდანიანი, ბ. ბარხო და რ. იოანესიანი.

✦ **დილიჟანზე თავდასხმა.** 3 მარტს „კავკ.“-ის სიტყვით, ხონიდან ქუთაისისკენ მიმავალ დილიჟანს დაეცნენ ყაჩაღები, მაგრამ პოლიციის წყალობით ვერ გაუძარცვნიათ. ყაჩაღების განზრახვა შეუტყვია ადმინისტრაციას. მაზრის უფროსი ლიპისტრი და პოლიცმეისტერი ტერანტონოვი სტრაჟნიკებითა და პოლიციელებით წინა ღამეს (2 მარტს) ღამის 2 საათზე ჩასაფრებულან ხონის შარა გზის ორსავე მხარეს. ამასთან განკარგულება მოუხდენიათ, რომ ყოველ დილიჟანს გადაცმული სტრაჟნიკი გაჰყოლოდა. დილის 6 საათზე ქუთაისიდან გამოუვლია ეტლს, რომელშიაც ოთხი უცნობი მჯდარა. ამათ გზა დაუზვერიათ და უკან გაბრუნებულან. დილის 8 საათზე გამოჩენილა ხონიდან მომავალი დილიჟანი, მგზავრებით სავსე. უცბად ტყიდან გადმომხტარა ორი კაცი. ერთს ორი რევოლვერი სჭერია, მეორეს—ერთი. შეუძახნიათ, „გაჩერდით, არ დაიძრათო“. დილიჟანი გაჩერებულა. შეეტლე სწრაფად გადმომხტარა და აუცდენია ნასროლი ტყვია. ამავე დროს მარდად გადმომხტარა გადაცმული სტრაჟნიკი და ბერდანის სროლა დაუწყვია. თავდამსხმელნი ასეთ მოულოდნელობაზე დაბნეულან და გაქცეულან. ამ დროს გამომხტარან სტრაჟნიკებიც. ყაჩაღებს სროლით ტყისთვის მიუშურებიათ. მაზრის უფროსს და პოლიცმეისტერსაც სროლა დაუწყიათ და ყაჩაღები შეუპყრიათ. ერთი აღმოჩნდა ხონელი ვასილ სვანიძე, მეორე ფარცხანაყანევის მცხოვრები ვასილი კოხრეიძე. კოხრეიძეს უთქვამს, სვანიძემ შემაცდინაო.

✦ **სომეხთა საქ.-მომქ. საზოგადოება.** 7 მარტს საკუთარ შენობაში აბას აბათის მოედანზე მოხდა საგანგებო სხდომა კავკ. სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა. კრებამ განიხილა და მცირე ცვლილებით დაამტკიცა საზოგადოების 8 განყოფილების შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა მიმდინარე წლისათვის. ახალქალაქის მცხოვრებს, აწ. განსვენებულ ელიზე ბასტამჯიანის ანდერძით საზოგადოებისათვის დაუ-

ტოვებია 30,000 მანეთის ქონება. აღმოჩენილა, რომ ძოანდერძეს ქონებაზე 41,380 მანეთი ვალი ყოფილა. კრებამ დაადგინა, არ მიიღოს ანდერძი.

◆ **მ. დემურიას პატივსაცემად.** ხონიდან მოგვივიდა შემდეგი დეპეშა: ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების ხონის განყოფილების წლ. კრებამ, მოისმინა რა სასარგებლო მოღვაწის, „ნაკადულის“ რედაქტორის მარიამ დემურიას გარდაცვალების ამბავი ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და მიანდო თავმჯდომარეს, დეპეშით თანაგრძნობა გამოუცხადოს განსვენებულის შვილებს. თავმჯდომარე, ალ. ჭიჭინაძე.

◆ **რევიზორი.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, კავკასიის სასამართლო დაწესებულებათა რევიზორად დაუნიშნიათ სენატის ობერ-პროკურორი რეინკე.

◆ **ექვს-კლასიანი სასწავლებელი სოფელში.** სოფ. დიდ ჯიხაიშის (ქუთ. მაზრა) სოფლის საზოგადოებას დაუდგენია, დაარსოს ამ სოფელში ექვს-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი.

◆ **ტერორისტის შეპყრობა.** „კავკ“ სიტყვით, ქუთ. მაზრის სოფ. ვანში პოლიციას შეუპყრია სიმონ ლორთქიფანიძე, რომელსაც ჰბრალდება სხვადასხვა ტერორისტულ აქტის ჩადენა, სხვათა შორის, 1907 წელს ქუთაისში, ფერმაზე გამრიკლიძის მოკვლა. მასვე ჰბრალდება გენერალ ალიხანოვზე თავდასხმა, როდესაც ლორთქიფანიძეს, ქალის ტანისამოსში გამოწყობილს, ყუმბარები უსროლია გენერალისთვის.

◆ 6—7 მარტს ტფილისში შემდეგი ამბები მომხდარა: კახეთის მოედანზე ნუნუფაროვის ეზოში უეცრად გადაიცვალა თელავის მაზრის სოფ. აწყურის მცხოვრები ალექსი ხარატაშვილი (47 წ.) რომელიც რამდენიმე დღის წინად საექიმოდ ჩამოსულა ტფილისში. დააპატიმრეს ტფ. მოქალაქე გიორგი შახნაზაროვი რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნება-დაურთველად დაბრუნებულა. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეს დავით ღლაშვილის ბინიდან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ქურდს 50 მანეთიანი ქამარი, ფულად 8 მანეთი და სხვა ნივთები მოუპარავს. ეჭვით დააპატიმრეს სიკო მელაძე და დათიკო დუდაშვილი. მელაძე უკვე გამოტყდა. „გრანდ-ოტელის“ სასტუმროს წინ პოლიციელებმა დააპატიმრეს ივანე ქარნიკოვი, რომელსაც პალტო მოეპარა სასტუმროდან. ჩხრეკის დროს პოლიციამ დააპატიმრა: პოლიციის მე-8 ნაწილში—27, მე-5 ნაწილში—14, მე-10 ნაწილში—2, მე-9 ნაწილში 9, მე-XI ნაწილში—23 და პირველ ნაწილში 49 უპასპორტო კაცი. 6 მარტს, საღამოს 6 საათზე, ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის წიგნის საწყობიდან ალექსანდრე თეთრაძეს გადმოუწყვია 300 მანეთის წიგნი და მოსაპარად დაუმზადებია. თეთრაძე უნახავს ამხანაგობის სტამბის მსახურს იოსებ ფურცელაძეს. თეთრაძეს მიმალვა მოუსწრია. ცოტას ხანს შემდეგ თეთრაძე დააპატიმრეს. თეთრაძე გამოტყდა და თავის ამხანაგად ამ საქმეში დაასახელა ნიკოლოზ აბრ. ზარიძე, ხელობით ნოქარი. ორივე დაპატიმრებულნი პასუხის გებაში მისცეს. პუშკინის ქუჩაზე მოვაჭრე ახალციხის მცხოვრებს სამუელ არონაშვილს გუმბრის მც. ოჰანეზ გრიგორიანცმა მოიპარა საქონელი და გაიქცა. გრიგორიანცი დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს. მიხეილის პროსპექტზე ბიბლოიანცის დუქანში ჩხუბის დროს ქიმსოვარ კრაწანაშვილმა დანით დასჭრა ივანე მენთეშაშვილი, დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ 6 მარტს, საღამოს 11 საათზე, გეოქჩაის მაზრის მცხოვრებს ბეგირ ქიარიმ ომარ ოღლის (27 წ.), ხელობით ვაჭარს, სოლომონის ქუჩაზე უსიამოვნება მოსვლია თავის საყვარელ ქალთან, ანასტასია კრივონოგოვთან. როდესაც კაცს სძინებია, ქალს კაცისათვის ყელი გამოუჭრია. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ომარ ოღლის მორჩენა საეჭვოა. ქალი კრივონოგისა დააპატიმრეს და პასუხის-გებაში მისცეს. ქალი გამოტყდა.

◆ არდაგანის ქუჩაზე მცხოვრებმა დილმელმა კონსტანტინე რაზმაძემ პოლიციას განუცხადა, რომ 5 მარტს აღნიშნულ დღეს მისი მამა მედროგე ივანე რაზმაძე შინ დაბრუნებულა. ანტონის ქუჩაზე, მარტიაშვილის დუქნის პირდაპირ, მედროგე რაზმაძე დაუპატიმრებია მეეზოვე დ. შიუკაშვილს, თავ-პირზე ნავთი გადაუსხავს და წუმწუმით ცეცხლი მოუკიდებია. რაზმაძეს ცეცხლი მოსდებია და დაშავებულა. იგი საექიმო დახმარებით მიხეილის საავადმყოფოში გაუგზავნიათ. თავხედი მეეზოვე შიუკაშვილი დააპატიმრეს.

◆ 7 მარტს ტფ. პოლიციას გაუგია, რომ ტფ. სომეხთა ნერსესიან სემინარიის მსახური ეჩმიაძინის მაზრის მცხოვრები ყაზარ მნაცაკანიანცი და მეეზოვე იმავე სემინარიისა გრიგოლ აივაზიანცი სისტემატიურად ყიდულობენ იარაღს და შემდეგ ასაღებენო. ამ ამბის შესამოწმებლად პოლიცია თავს დასხმია და მათი სახლები გაუჩხრეკია. გაჩხრეკილთ აღმოსჩენიათ ერთი რევოლვერი და პატრონები. მნაცაკანიანცი და აივაზიანცი დააპატიმრეს.

◆ ტფ. პოლიცმეისტერი მცხოვრებთა საყურადღებოდ პოლიციის მოხელეებს ატყობინებს, რომ დღეს, 9 მარტს, სასროლ მოედანზე კურინსკის პოლკი საომარ ხასიათის ბრძოლას ასტეხს.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღეს ქართულ თეატრში საინტერესო წარმოდგენაა დანიშნული. ქართული დასი წარმოადგენს შექსპირის ტრაგედიას „ჰამლეტს“ მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მსახიობნი. ჰამლეტის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი, პოლონიუსისას გედევანოვი, ოფელიას მ. მდივანი, ლაერტისას—ზარდალიშვილი, აქტიორისას—ალ. იმედაშვილი, რომელიც წელს ქუთაისის სცენაზე იყო და დღეს ამ სეზონში პირველად ითამაშებს ტფილისში.

—

**გასამართლება.** როგორც გავიგეთ, 16 მარტს ქართველ ქალთა სკოლის სასარგებლოდ ქართულ თეატრში გაიმართება გასამართლება. უნდა გაასამართლონ „სამშობლოს“ გმირი ქეთევანი და ხიმშიაშვილი. თავმჯდომარედ იქნება ილია ზურაბიშვილი, ბრალმდებელად—გ. გვაზავა, დამცველებად—ალ. მდივანი და იოს მაჭავარიანი, მდივნად ქ-ნი თამ. ჯიჯავაძე, მოსამართლეებად ქ-ნნი ა. დიასამიძე, მარ. ვახვახიშვილი—წერეთლისა და სხვები. ბრალდებულნი: ქეთევანი—ქ-ნი თამ. გოგოლაშვილი, ხიმშიაშვილი—ს. ყიფიანი. მოწმეები შაჰ აბაზი—კ. მაყაშვილი და სხვები.

# შორეულ აღმოსავლეთი

## მანჯურიაში.

ხარბინიდან „რეჩ“-ს ატყობინებენ; აქ ძლიერ ბევრი იაპონელი ჯაშუში გაჩნდა. მდინარე სუნგარის რკინის ხიდზე, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ამას წინად ორ იაპონელს მოასწრეს. მათ ფოტოგრაფიული აპარატები სჭეროდათ და ადგილების სურათები ეღოთ. ერთი მათგანი სამხედრო კაცია, მეორე ვაჭარი. გასაოცარი ისაა, რომ ეს იაპონელები ისეთ ადგილებზე მისულიყვნენ, სადაც კერძო კაცებს არ უშვებენ. ჩინელები ბოლოს დროს მეტის-მეტად თავხედურად ექცევიან რუსებს. რუსეთის საქონელს აღარსად ყიდულობენ. რუსებს ეშინიანთ, ვაი თუ ჩინელებმა უომოდ გაგვდევნონ მანჯურიიდანაო.

# უცხოეთი

**დუეზის საქმე საფრანგეთში.**

გამომძიებელი ბეჯითად შეუდგა დუეზის საქმის გამოძიებას. გამოძიებიდან აღმოჩნდა, რომ გაუქმებულ კონგრეგაციების ქონების გაფლანგვაში დუეზთან ერთად რეულა მისი თანაშემწე მარტენი, რომლის სადგომშიაც გაჩხრეკის დროს იპოვეს ბევრი დამამტკიცებელი საბუთი. დუეზი იწუნებს, მარტენთან უკვე სამი წელიწადია შევსწყვიტე ყოველი საქმე და არ მესმის, საიდან ჩაუვარდა ხელში ჩემი საქმეებიო. დუეზის სიტყვა არავის არა სჯერა; ეჭვი აქვთ, რომ მარტენი დუეზს შუამავლად ჰყავდა და ბევრნაირ უსინდისო საქმეში დახმარებას უწევდაო. თითონ მარტენი დაიმალა და ეხლა ბძანებაა გაცემული, რომ იგი მოძებნონ და დაატუსაღონ.

ამ საქმეზე დიდად საინტერესო კამათი გაიმართა დეპუტატთა პალატაში. ილაპარაკეს ჟორესმა, ნაციონალისტმა ბერიმ და პირველმა მინისტრმა ბრიანმა.

ჟორესმა ისარგებლა იმ საბუთებით, რომლებიც მისთვის მიეცა ფინანსთა მინისტრად ნამყოფ კაიოს, და უამბო პალატას, რომ ყოფილება განოქმულ სასულიერო—მარტრუზის ლიკვიდაცის დამზადებისა, ლიკვიდატორმა დუკურტიელმა (ამასაც დუეზის თანამდებობა უჭირავს) სულ 500 ათას ფრანკად მიჰყიდა კუზენიე-შუნდერის საფაბრიკო სახლს, როდესაც იმ დროს ეს ყოფილება ღირდა 8 მილიონ ფრანკამდე და სხვა ფირმები მაშინვე 5 მილიონ ფრანკს იძლეოდნენ. თუმცა ფინანსთა მინისტრმა მაშინვე მოითხოვა დუკურტიელის სამართალში მიცემა, მაგრამ სამინისტრომ არავითარი ღონისძიება არ მიიღო მის წინააღმდეგ. დუკურტიელის მოქმედებას სენატის კომისიამაც მიაქცია ყურადღება. ჟორესმა ასე დაასრულა თავისი სიტყვა:

„იქიდან, რაც მე აქ გითქვი, რასაკვირველია, სულაც არ გამოდის, რომ მთელი საფრანგეთი უპატიოსნო იყოს. ყველა ეს მხოლოდ იმასა ჰნიშნავს, რომ პატიოსნება საფრანგეთში დაურაზმავია, ხოლო უპატიოსნობა დარაზმული. დროა ჩვენი ქვეყანა ხელიდან გამოვგლიჯოთ იმ ყაჩაღთა გუნდებს, რომლებიც სძარცვენ საფრანგეთს; დროა მართლმსაჯულების ნათელი მოვფინოთ მათ მოქმედებას.

ნაციონალისტმა ბერიმაც დაუდევნელობა, გაუფთხილებლობა უსაყვედურა მთავრობას. კონტროლი ხომ სულ ცუდად აქვს მოწყობილიო.

ორსავე ორატორს უპასუხა პირველმა მინისტრმა ბრიანმა. მისმა სიტყვამ, მარტივად და თან მარჯვედ ნათქვამმა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბრიანმა გაიხსენა, რომ იგი მუდამ მეცადინეობდა, გაუქმებულ კონგრეგაციების ლიკვიდაცია და მისი კონტროლი კარგად ყოფილიყო მოწყობილი. ამავე დროს მან გესლიანად აღნიშნა, რომ პარიზის სასამართლო და ექსპერტები კანუსაზღვრელად ენდობოდნენ დუეზს და რომ პრესა ხმას არ იღებდა დუეზზე, როდესაც იგი ხშირად საქმეს უჭირვებდა სხვა ლიკვიდატორებსაო.

ბრიანმა აღიარა, რომ კონტროლი იმ თავითვე ცუდად იყო მოწყობილი, იუსტიციის მინისტრობა რომ ვიკისრე, მეორე დღესვე შეუდექი ამ საქმის რიგზე მოწყობასაო. ამის დასამტკიცებლად პირველმა მინისტრმა მოიყვანა თავისი ბრძანებები. დუეზი რომ ამდენ ხანს არ დავატუსაღეთ, ეს იმისი ბრალია, რომ როგორც ზემოდაც იყო ნათქვამი, მას დიდის ნდობით ეკიდებოდნენ სასამართლოებიცა და ექსპერტებიცო.

როცა ბრიანმა სასამართლოებსა, ექსპერტებსა და პრესას მათრახი გადაჰკრა, დეპუტატებმა ტაში შემოჰკრეს და სიცილი დაიწყეს.

დეკუტურიერის თაობაზე ბრიანმა მოკლედ სთქვა, რომ სამინისტროს ასსოვს მისი მოქმედება და რომ ამ ჟამად დეკუტურიერის საქმეს არჩევს გრენობლის სასამართლოო. დასასრულ ბრიანმა დაიცვა რესპუბლიკური წესწყობილება, რომელზედაც დუეზის საქმის გამო მედგარი იერიში მიიტანეს მემარჯვენეებმა, და მტკიცე იმედი გამოსთქვა, რომ მართლმსაჯულება ყველა დამნაშავეს აღმოაჩენსო.

# ბიბლიოგრაფია

Н. МАРРЪ. «Яфетическій К въ армянскомъ языкѣ. Отд. оттискъ изъ записокъ Вост. Отд. Императорскаго Русс. Археол. Общества. Томъ XIX.

ნ. მარრის აზრით, სომხურ ენას შერჩენია სასისა და კბილის მიერი აფრიკატები ისევე სრულად, როგორც იაფეტური შტოის წმინდა წარმომადგენლებს: წ, ჭ, ძ, ჯ, ც, ჩ. მაგრამ ხორხის მიერი აფრიკატები სომხურს ნაკლებად მოეძებნება, ასე რომ სომხური ენის ინდო-ევროპული შედგენილობა ამ მხრით უფრო ძლიერია. ხორხის მიერი აფრიკატები თურმე წმინდა იაფეტურ ენებსაც გაჰქრობიათ: ა) კ-არი, რომელიც ძველ ქართულში იყო, დღეს მხოლოდ დიალექტურად იპოვება, ჭანურ-მეგრულშიაც კი აღარ შენახულა; ბ) ხ-ანი და კ-ანი ქართულშიაც ხირია, ხოლო ხმის ვითარება ხ-ანს უფრო შერჩა, ვიდრე კ-ანსა; გ) ერთ ჭანურ კილოში, სახელდობრ, დასავლეთ-ისაში, გაჰქრა ყ-არიც. თუმცა ზოგჯერ ისე, როგორც სომხურშია, იცვლება კ-ანად, ამიტომაა, დასძენს პატივცემული ავტორი, **წყალი** ჭანურად იქმნება **წკარი**.

იქაც, დასავლეთის ჭანურ კილოშიაც ხმის გარდაქმნა გამოუწვევია მეზობლობას ბერძნული ენისას, რომელსაც ასეთი ძლიერი ზედ-მოქმედება ჰქონია ჭანურზე. სომხურ ენაში, რომელიც ძლიერ გაარიანებულა, ამგვარი გარდაქმნა ბუნებრივ უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ვეღარ უნახავთ ვერც ქართულ ყ-არსა, ვერც კ არსა და იმ სიტყვებში, სადაც ეს ხმები უნდა ყოფილიყო, დღეს უბრალო კ-ანია ამგვარად სომხური ენის კ-ანსა უდრის იაფეტურის მხრით კ-ანი, ყ-არი და კ-არიო, დასძენს ბ. მარრი.

თავისი აზრის დასამტკიცებლად მეცნიერ აკადემიკოსს მაგალითებიც მოჰყავს:

| | | |
|---|---|---|
| **კაკან** | — | ყ-ყანი, |
| **კოკორდ** | — | ხორხი, ხარსა (ხახა), |
| | | ყარყ ნტო, |
| | | ყორყინტი, (ჭან). |
| | | ყორყინჯი, (იმერ.) |
| | | ყრონჭი, |
| | | ყრონტი, (გურ.) |
| **კოირ** | — | ყფერ, (ჭან.) |
| **კირთ** | — | წურთა, |
| **კეტ** | — | წერტა, |
| | | წერტილი, |
| | | წრტიალი, |
| **კათ** | — | წვეთი, |
| | | წთოლა, |
| **კწწი** | — | ღუნწი, |
| **კწიწ** | — | ძუნწი, |
| **წაირ** | — | წვერი. |

მხოლოდ არა წ-ილის ბგერით გამოთქმული **წვერი**, იგივე, რაც **ვარე** (სვან.), რომელიც ნიშნავს პირასხის თმას, წვერსა და რომელსაც ენათესავება ქართულივე **ბალანი** და **ბალახი** (მცენარე ღერთა კრებული), და რუსული სიტყვები **ვოლოს** (თმა), **ბორ** (ტყე) და **ბოროდა** (წვერი).

რაც შეეხება იმას, ვითომც ერთმანეთის ფარდი იყვეს:

| | |
|---|---|
| **კანაჩ** (მწვანე) | ყანა |
| **კანუხ** | ყონა, (ჭან.) |
| **კერპ** | ღმერთი |
| | ღერბეთ, (სვან.) |
| | ღორმოთი, (ჭან.) |
| | ღორონთი, (მეგ.). |

მეძნელება, დავეთანხმო ბ. მარრსა. აი რადა:

1) **ყანის** ძირია **ყან**, იგივ **ყამ** (მ=ნ), რომლისგანაც სწარმოებს **ყამირი**, უმუშევარი, მაგარი მიწა. **ყანა** რომ მიწას ნიშნავს, მისი საბუთია რთული სიტყვა **თაყვანისცემა**, რომლის შემავალია **თავი**, **ყანა** და **ცემა**, ვითომცა თავი ყანამდე ჰსცეს, თავი მიწამდე დაუკრას. მეორე საბუთია კიდევ შემდეგი. ყოველი ხმოვანი ქართულში და სხვა ენებშიაც თითქო მაგე იყვეს და ზოგჯერ ჰბადებდეს ცხვირის მიერ ბგერასა, ხოლო ზოგჯერ საშო ეხშოდეს:

| | |
|---|---|
| მე | მენ |
| შენ | სი (მეგრ.) |
| თქვენ | დუქ (სომხ.) |
| მაჯა | მანჯა (მეგრ.) |
| ტუჩი | დუნჩ (სომხ.) |
| | დრუნჩი (ქართ.) |
| ფუძე | ფუნდო (ლათ.) |
| კეტი | კეტ (სომხ.). |

ეხლა თუ ხმოვანთა ასეთი ცვალებადობის წესს ვიხელმძღვანელებთ, **ყანა** იგივეა, რაც მეგრული **უყი**, მოუხვნელი მიწა და ქართული **უვე**, ჭაობი მიწა. ასე რომ **ყანა** ნიშნავს მიწასა; **ქვე-ყანაშიაც** ასეთივე აზრია.

ხოლო **კანაჩ** სომხურს სიტყვას უდრის **წუან** ქართული ძირი, საიდგანაც სწარმოებს **მწვანე**, **წვანილი** და რუსული სიტყვები **ზელიე**, **ზელენ** (კ=წ=ზ; ნ=ლ) ფონეტიკურად უფრო ფარდია **ზლაკ** რუსული სიტყვისა (კ=ჩ).

2) **კანოხი**, სომხური გამოთქმით **კანუხ**, რთული სიტყვაა. მისი შემავალია: კან=ყან (ყანა) და ახო. როგორც ეს სიტყვა, ისე **ნაოში** წარმოებულია. ორთავე ძირია **ხვ**, რომლისაგანაც ჰსწარმოებს აგრეთვე ქართული **ხვნა** და **სახნისი** და რუსული **სოხა** და **ხოვატ**. ასე რო **კანოხი** ნიშნავს **ხნულ ყანას, ყანის ხვნასა.**

3) **ღმერთი** თავსართიანი გამოთქმაა **ლუთისა** რ ასეს ბგერით და მეტათეზისის წესის თანახმად წარმოებული (**მლუთა, ღმურთი**, ღმერთი) **ლუთა** (ლვთა) არიული სიტყვაა, მისი მონათესავეა სპარსული **ხუდა**, გერმანული **გოტტ** და **გუტ** (კარგი), სომხური **გუთ** (წყალობა), ბერძნული **აგათოს** (კარგი) და **კეთილი**. ცოტა მაგრად გამოთქმული იგივე სიტყვა იქმნება **ლუდ**, რომლისაგანაც ჰსწარმოებს **მლუდელი** (მღვდელი), ხოლო რბილად გამოთქმული—**ხუც**, რომლისაგანაც წარმოსდგა **მოხუცი, ხუცური, ხუცესი** და **ხუცაუ**, რომელიც ოსურად ნიშნავს ღმერთსა. სვანური **ღერბეთ**, ჭანური **ღორმოთი** და მეგრული **ღორონთი** მხოლოდ სხვა და სხვა ნაირად გამოთქმული **ღმერთია.**

**კერპისა** და **ღვთის** ერთ სიტყვად მიღება მოუხერხებელია. **კერპ** ნიშნავს მარტოოდენ სახესა და მარტოოდენ ფონეტიკურის ანალოგიით უახლოვდება ქართულ **კერპსა.** ეს სიტყვა კი იგივეა, რაც ქართულივე უვერბი (კ=უ; პ=ბ), რომელიც ნიშნავს კერას, სადაც გაუქრობელად ინახებოდა თაყვანსაცემელი წმინდა ცეცხლი.

სომხური სიტყვები **კორი** (წყლის არხი) და **კინჯ** (ღარი) სხვანაირი ვითარების მგონია, თუმცა მათ ენათესავება ჭანური **წკარი** (წყარო, წყალი) და ქართული სიტყვა **ღორი**:

ა) წყარის (ჭან.), წყარის (მეგრ.) **წყაროს, წყლის** ძირია **წარ**, რომლისაგანაც ჰსწარმოებს აგრეთვე ქართული **წარალი** და სომხური **წარავ** (მწყურვალი), ეს ძირი კიდევ გამოითქმის **წურ** (**წურვა**) და **წყურ** (**წყურვილი**), ორივ მონათესავე სომხური სიტყვისა **ჯურ**, რომელიც ნიშნავს **წყალსა.** სომხური **კორი** უფრო **ღვარი** (ვ=უ; უა=ო), წარმოებული **ღვრისაგან** ღ-ანის კ-ანად შეცვლით.

ბ) **ღორი** ისეთი სიტყვაა, რომელსაც თვისტომი არიულ ენებშიაცა ჰყავს: ბერძნული **ღუს** და **სუს** და რუსული **სვინია.** დეჯი მეგრული, **კინჯ** (**კინჭ**) სომხური და **სვინია** რუსული სიტყვა წამოაყენა ბერძნული სიტყვის ხმოვანის გამოთქმამ ცხვირის მიერი ბგერით და ს ანის **რ**-ად, ხოლო უკანასკნელის **ჯ**-ანად შეცვლამ.

როგორც წინა თხზულება (იხილე „დროება“ № 45) ისე ესეც თავის დედა აზრით მართალია და სომხური ენის კვლევას, არმენოლოგიას უძლის ახალ საფუძველზე დამყარებასა. ნ. მარრის მაღალი ნიჭი და შრომის სიყვარული რომ არა, ქართული ენის ამბავი წყვდიადით მოცული იქმნებოდა, ხოლო სომხური ენის შესწავლას შერჩებოდა ის ყალბი ნიადაგ, რომელზედაც მანამდე იდგა.

**პეტრე მირიანიშვილი.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გაზეთ „დროება“-ში დაიბეჭდა შენიშვნა ი. გ. კარგარეთლის შუამდგომლობის შესახებ. შენიშვნაში მოხსენებული იყო, ვითომ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობას უყურადღებოდ დაეტოვებინოს კარგარეთლის შუამდგომლობა იმის ბავშვების სამუსიკო სკოლაში უფასოდ მიღების შესახებ. ასეთივე შენიშვნა ბ-ნ ნიგოითელის ხელ-მოწერილი დაიბეჭდა გაზ. „ნოვაია რეჩ“-ში.

ხსენებულ ფაქტის შესაფერ ნათელის მოსაფენად გამგეობა მოვალედ სთვლის აუწყოს საზოგადოებას შემდეგი:

კარგარეთლის განცხადება მოისმინა გამგეობამ 21 იანვრის სხდომაზედ და, თავის სურვილის წინააღმდეგ, გამგეობას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ბ-ნ კარგარეთლის შუამდგომლობა უსახსრობისა გამო. არავითარი ფონდი, არც სტიპენდია არ მოეპოვებოდა გამგეობას და დღეს სკოლაში სრულებით არ არის სტიპენდია. სკოლის წესდების მე-10 და 25 მუხლების ძალით, სკოლის საბჭოს ევალება იზრუნოს მოწაფეთა განთავისუფლებაზე სწავლის ფულის გადასახადისაგან (ყოველ ასეთ შემთხვევაში გამგეობამ უნდა დაადასტუროს საბჭოს გადაწყვეტილება), მაგრამ ამ მუხლის ძალით შეიძლება განთავისუფლება იმ მოწაფეებისა, რომელნიც უკვე სკოლაში სწავლობენ, მაშასადამე, სკოლის საბჭოს არ შეეძლო ამით ეხელმძღვანელნა იმათ მიმართ, ვინც ჯერ სკოლაში არა სწავლობს.

ამ მოსაზრებათა მიხედვით გამგეობამ 2 თებერვალს შეატყობინა კარგარეთელს დასაბუთებული უარი იმის შუამდგომლობაზე და ამასთან სთხოვა, აცნობოს გამგეობას, სურს თუ არა, რომ ეს მისი შუამდგომლობა მოხსენდეს საზოგადოების მომავალ კრებას. ამ თხოვნაზე კარგარეთელს დღემდე არა უცნობებია-რა.

ფილარმონიულ საზოგადოების თავმჯდომარის თან. აღმასრულებელი **გ. ი. თულაშვილი.**


# დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია

7 მ. 25 კ. ორ კოსტიუმს ვგზავნით ფასდადებით. ჩაწყობა და გაგზავნა ჩემი ხარჯით 4¼ არშ. მამაკაცის სრულ კოსტიუმისთვის, **ინგლისის შალის ტრიკო** ორ არშინიან განისა, ახალი, მკვიდრო, სადა ან ნახატებიანი და 8 არშ. „ჩევიოტ“ ქალის კოსტიუმისთვის მოდის-უჯრედებიანი ან ზაზებიანი.

ვინც ორ წყვილს შემოგვიკვეთავს, იმას უფასოდ ვაძლევთ სარჩულს როგორც კაცის, ისე ქალის კოსტიუმისთვის. საშიშო არაფერია; თუ არ მოგეწონებათ, ფულს სრულად უკანვე მიიღებთ. ფასდადებით გაგზავნისთვის მანეთზე 2 კაპ. ხოლო ციმბირში განსხვავება ზომაში: 2 კოსტიუმში 85 კაპ., 4-ში მან. 25 კაპ, ადრესი: Фирма М. А. Бабушкина. Лодзь. 1-ое отд. д. მიწერ-მოწერა რუსულად. (Мецль и К. N 11208). (3—ნ.—1)

პიწმარაშვილის და ამხ. **თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კონდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნებათ. (25—კვ.—1)

**იყიდება** იაფად მიწის ნაჭერი, 292 ოთხკ. საჟ. (ფასადი 16 საჟენი) მუშტაიდის ქუჩაზე, საბალოსნო სკოლის პირდაპირ. ნაჭერი შეიძლება ორად გაიყოს. აქვე ჩერდება ტრამვაი. იკითხეთ: გრიბოედოვის ქ., 30, მარჯვნივ შუა ზარა. (5—1043—1)

# ისარგებლეთ შემთხვევით

მივიღეთ დიდ-ძალი ტრიკოულობა, სულ დარჩეული, ახალი მოდის მანერები და ვყიდით ძალიან **დაკლებულ ფასებში,** რადგან ვსპობთ ტრიკოულით ვაჭრობას. ადრესი: შუა ბაზარი, მანთაშევის პასაჟი, გ. დ. ჯავახოვისა, № 20—21. (4—1042—2)

◀ ქუთაისში ქირავდება ▶

# სიცოცხლის წყაროს

რესტორანის ბინა ბაღით. ქარვასლის ქუჩის ბოლოში თეთრ ხიდთან. გაქირავების პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება სახლის პატრონთან ეზოში, ანუ მის რწმუნებულ ივანე ბარქაიასთან მაღაზიაში. (10—კვ.—9)

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წ. ყოველ კვირეულ სურათებიან რუსულ გაზეთ**

# „სტამბულსკია ნოვოსტი“-ზე

(Стамбульскія новости)

გაზეთი გამოდის სტამბოლში. „სტამბულსკია ნოვოსტი“ ერთად-ერთი გაზეთია, რომელიც ოსმალეთში რუსულ ენაზე იბეჭდება.

**ხელის მოწერის ფასი:**

| | ოსმალეთში | რუსეთში და საზღვარგარედ |
|---|---|---|
| 1 წლით | 80 პსტ. | 8 მან. |
| 6 თვით | 40 პსტ. | 4 მან. |
| 3 თვით | 25 პსტ. | 2 მ. 50 კაპ. |

**ადრესი:** Pèra, rue agna Hamam № 35 (Турція) Constantinople.

(5—5) მთავარი რედაქტორი **ჯელალედ-კარკმახი.**


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აბლაძე.**